მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 11. კვირა, 27 მარტი 1905 წლისა. № 11.

„მოგზაურის“ რედაქცია სელის მომწერთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ვისაც ხვედრი ფულის შემოტანა აკლია, დააჩქაროს შემოტანა.

შინაარსი: ვის ატყუილებენ? ფ. მახარაძისა.—ომი და რუსეთის ახალი შინაური სესხი.—გლეხთა მოძრაობის გამო, ლევან ციციშვილისა.—ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.—არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—თავმოყვარეობა, მოთხ. პოტაპენკოსი, თარგ. მოხუცისა.—გურიის ამბები, ნ. კ—ძისა.—ჟურნალ გაზეთებიდან.—ქართლელ გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა, დასავლეთელისა.—მისაბაძი მაგალითი, გ—ოსი.—განცხადებები.

ვის ატყუილებენ?

დღევანდელი მოძრაობამ არა მარტო ბიუროკრატიას დაუფიქრა ძილი და დაუბნია გზა-კვალი და დავთარი. ასევე მოუვიდა ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს, რომელიც ნაციონალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ მოქმედებს და რომელიც ხალხის სამსახურის სახელით სულ სხვა რამეებს ასაღებს. დღევანდელი მოძრაობა ამ ვაჟბატონებისთვის სრულებით მოულოდნელი იყო. იმათ მშრომელი ხალხი უგუნურ და ბრიყვ ბრიშოთ მიაჩნდათ, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო. იმათ ეგონათ, რომ ხალხში რაიმე სერიოზული მოძრაობა იმას დაუხმარებლათ და უხელმძღვანელოთ თავს ვერ იჩენდა. ამათ აზრით, ყოველივე ეს იმათზე იყო დამოკიდებული, იმათ მიერ შებუშავებულ პროგრამასა და გეგმაზე. მართალია, ისინი აქა-იქ, ქალაქებში, ამჩნევდნ მუშების მოძრაობას, მაგრამ ამას იმათ თვალში მნიშვნელობა არ ქონდა, და უფრო კი ეს მოძრაობა, იმათი შეხედულებით, ყოველად შეუსაბამო და მავნებელი იყო, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა იმათ მისწრაფებას და იმათ სურვილებს. მაგრამ თუ ეს მოძრაობა ქალაქის მუშებიდან სოფელშიაც გადავიდოდა და სოფლის გაჭირვებულ ხალხშიაც იფეთქებდა, ამას ისინი არასოდეს არ დაიჯერებდენ. უფრო მეორეთ მოსვლას იწამებდენ, ვინმე გლეხ-კაცობის დღევანდელ მოძრაობას. ასეთი შეხედულება ერთი მხრით იქიდან მომდინარეობდა, რომ ეს ვაჟბატონები, რომლებიც თავის-თავს ინტელიგენტებათ და ქვეყნის მარილათ თვლიდენ, სრულებით არ უკვირდებოდენ ცხოვრებას, არ ცდილობდენ იმის გაგებას და დანახვას, თუ თვით ხალხში რა ხდებოდა. მეორე მხრით ამ გაუგებრობის მიზეზი ის იყო, რომ ზოგიერთები განგებ იბრმავებდენ თვალებს, განგებ უარყოფდენ იმას, რაც ხდებოდა, თავის ყოვლად შეუსაბამო და შემცდარ შეხედულებათა გასამართლებლებლათ. ამის დასამტკიცებლათ შორს წასვლა არ არის საჭირო. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რას წერდენ ამ ერთი წლის წინეთ ჩვენ გაზეთებში. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ხსენებული ვაჟბატონები ერთ ხმათ გაიძახოდენ, რომ მუშების მოძრაობა ჩვენში ნაძალადევია, იმას არა აქვს საფუძველი, რომ მუშათა კითხვა ჩვენში ძალით შეთხზული და გადმოღებულია უცხოეთიდან, რომ მას ჩვენში ნიადაგი არა აქვს, და ვინც ჩვენში ამის შესახებ ლაპარაკობს, ამას ქადაგებს და ამაზე წერს, ის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი „ერის“ მოღალატე და მტერიაო. ამ ვაჟბატონების მოძღვრება აი რაში გამოიხატება: ქართველ მუშა ხალხს ტანჯავს და ყველეფს არა ქართველი მემამულე, არა ქართველი კაპიტალისტი, არამედ უცხო მემამულე, უცხო კაპიტალისტი. ქართველი მუშა თუ გაჭირვებაშია, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს ქართული სახელმწიფო. ამიტომ ქართველი მუშა ერთი მხრით და ქართველი მემამულე და ბურჟუა-კაპიტალისტები მეორე მხრით უნდა შეერთდენ და ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა შეებრძოლონ უცხო მემამულეებს და უცხო კაპიტალისტებს და მოიპოვონ ავტონომია, შექმნან ქართული სახელმწიფო. ერთი სიტყვით, ქართველმა, ქალაქის მუშა იქნება იგი თუ სოფლელი გლეხი, თავის მდგომარეობა უნდა დაივიწყოს, და ხელი შეუწყოს თავის გაყვლეფაში ქართველ მემამულეებს და ქართველ ბურჟუებს. შორს მისგან თვითცნობიერება, შორს მისგან თავისი მდგომარეობის შეგნება! ქართველმა, მუშა იქნება იგი თუ მემამულე, უნდა შეიგნოს მხოლოთ ის, რომ იგი ქართველია, ქართველი ერის წევრი. ამას ქვია ეროვნული პრინციპი, რომელიც ღადაობს, რომ ჩვენ ყველანი განურჩევლათ თავადებისა თუ გლეხებისა, კაპიტალისტებისა თუ მუშებისა, ქართველები ვართ, ყველანი ერთ ტაჯაში ვიწვით. ამიტომ ჩვენში, კლასთა შორის ბრძოლაზე ლაპარაკი კი არ არის საჭირო, ეს მავნებელიც არის, არამედ ჩვენმა მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ ჩვენთვის, როგორც ერისთვის, საჭიროა გვქონდეს დამოუკიდებელი ეკლესია, რომ ჩვენ გვყავდეს ქართველი უფროსები, და იყოს ქართული მართვა-გამგეობა. გარდა ამისა, საჭიროა მოვითხოვოთ, რომ ეკლესიებში, სკოლებში და სასამართლოებში ხმარობდენ ქართულ ენას. აშკარაა, რომ ამის ქადაგებას არაფერი საერთო არა აქვს მშრომელ ხალხის, როგორც ქალაქის, ისე სოფლის, ცხოვრებასთან. აშკარაა, რომ ყოველივე ეს არ შეიცავს ხალხის ინტერესების დაცვას; აქ უარყოფილია ხალხის ნამდვილი მოთხოვნილებანი, ის, რაც დღეს მას აწუხებს და აღელვებს. მეორე მხრით, ეროვნული პრინციპის ქადაგებით ხალხს თვალებს უხვევენ, რომ ის ნამდვილ გასაჭირზე არ დაფიქრდეს, თავის დაჩაგრულ მდგომარეობას ყურადღება არ მიაქციოს. საბედნიეროთ ამ ცრუმართ მიმართულებას აცდა ჩვენი ხალხი; ასეთმა მავნე შეხედულებამ მაში ვერ მოიკიდა ფეხი. ხალხმა უფრო ფხიზელი თვალით შეხედა თავის მდგომარეობას. ეს ასეც უნდა

მომხდარიყო, რადგანაც დღევანდელ პირობებში ხალხის დატყუილება ისე ადვილი აღარ არის, როგორც ეს წინეთ იყო. ხალხმა თავისი მოთხოვნები თითონ შეიმუშავა, თითონ გაიკვალა ის გზა და ის მიმართულება, რომელსაც იგი დღეს ადგას; მან თითონ აღნუსხა ის კითხვები, რომლებიც სინამდვილემ წამოაყენა.

მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენმა ნაციონალისტებმა ტაქტიკა შეცვალეს. დღეს როცა ხალხის მოძრაობამ ასეთი დიდებული სახე მიიღო, ამ ვაჟბატონებმა გაიგეს, რომ ისინი სრულებით გარიყულნი ყოფილან დღევანდელი ცხოვრებისაგან, რომ იმათ ქადაგებას და იმათ პროგრამას ხალხში არავითარი გასავალი არა აქვს, რომ თავისი ნაციონალურ-ბურჟუაზიული პროგრამით ისინი სრულებით განცალკევებული დგანან. ეს ადვილი ასატანი როდია, მეტადრე ჩვენი ნაციონალისტებისათვის, რომლებიც ხალხის მეთაურებათ სახავენ თავის თავს. და აი რა მოისაზრეს ამ ვაჟბატონებმა: მოდი ეს ხალხის მოძრაობა ჩვენი პროგრამის გასახორციელებლათ გამოვიყენოთო. თქმა და საქმის დაწყება ერთი იყო. მაგრამ რა პირით, რა სინდისით უნდა მიემართათ ხალხისათვის? პარდაპირ თავის ნამდვილ პროგრამის გამომჟღავნება რომ ვეღარ გაბედეს, აიღეს დიდიხნიდან შემუშავებული პროგრამა, ჩამოაცალეს ზოგი მუხლები, ზოგიც თავის პროგრამიდან ჩააკერეს და ამას შემდეგ სრულებით დარწმუნებულნი იყვენ, რომ იმათ ოინბაზობას ვერავინ გაიგებდა. მაგრამ იმათი მეცადინეობა ფუჭეთ ჩაიკლის, როგორც წინეთაც ჩაუვლია ხოლმე. თუ მართლა მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვა სურთ, თუ მართლა იმის სამსახური წადიათ, რაღა საჭირო იყო უკვე შემუშავებული და მიღებული პროგრამის თავის სურვილისამებრ შეცვლა და გადამახინჯება? რაღა საჭირო იყო იქ ისეთი მუხლების ჩამატება, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვს მუშა ხალხთან? მაგრამ მაშინ ისინი ხომ ნაციონალისტები აღარ იქნებოდენ. აქ გარემოება ნებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევეხოთ ჩვენი ნაციონალისტების პროგრამას, და იგი ამათ არც კი ღირს. და თუ დღეს მკითხველის ყურადღება მივაქციეთ ამას, მხოლოთ იმიტომ, რომ ეს მეტათ დამახასიათებელი მოვლენაა. იგი აშკარათ მოწმობს, რომ ჩვენ ნაციონალისტებს ხალხის ცხოვრებაში არავითარი გავლენა აღარ აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ მოთხოვნილებების გვერდით მუშების მოთხოვნებს კი არ მოაქცევდენ ზოგიერთმა შეიძლება გვითხრას, რომ იმათ შეეძლოთ სრულებით არ მოეხსენებიათ მუშების მოთხოვნებიო. რასაკვირველია, შეეძლოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი რჩებოდენ განზე, ხალხის გარეშე; და ეს კი მათთვის სასიამოვნო არ იყო. ამიტომ თავის ნაციონალისტურ პროგრამაში შეიტანეს რამდენიმე მუხლი მშრომელი ხალხის შესახებ მუშების თავისკენ გადასაბირებლათ. მუშების ძალაში დღეს ყველა დარწმუნდა და აი ეს ძალა ესაჭიროებათ ჩვენ ნაციონალისტებსაც. ამიტომ დაჭირდათ იმათ მუშების გადაბირება. ეს გარემოება მეტათ საგულისხმიერო და საყურადღებოა.

დღეს ყველამ წამოყო თავი; წარმოითდგინეთ ისინიც კი, ვისაც წინეთ ეშინოდა არა თუ აშკარა პროტესტის განცხადება, არამედ ოთხ კედელს შუა ხმის ამოღება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, დღეს უეხზე წამოდგენ, ბანკეტებს მართავენ, რეზოლიუციებს წერენ და საჯაროთ პროტესტს უცხადებენ მთავრობას. როგორ მოხდა ეს? რამ გააბედვინათ იმათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა? უმრავლესობა ამას დღევანდელ ომს აწერს, სახელდობ რუსის ჯარის დამარცხებას მანჯურიაში. ეჭვი არ არის, რომ ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია დღევანდელ მოძრაობაზე, დააჩქარა ის, რაც, ადრე იქნებოდა თუ გვიან, მაინც უეჭველათ უნდა მომხდარიყო. მაგრამ, როგორც წინეთაც ვამბობდით, დღევანდელი მოძრაობა არ დაწყებულა გუშინ, იგი დიდი ხანია მზადდებოდა. ვინ არ იცის, რომ მშრომელი ხალხი დიდი ხანია აცხადებდა პროტესტს დღევანდელი ბიუროკრატიული წესწყობილობის წინააღმდეგ, და თავგამოდებული იბრძოდა მის მოსასპობათ, დღევანდელ მოძრაობასაც სათავეში მხოლოთ მუშა ხალხი უდგას. მხოლოთ მისმა მკერდმა შეძლო, რომ დღეს ძირიანათ შეირყა არსებული ბიუკრატიული წესწყობილება. და დღეს, როცა ბიუროკრატის თკითნებობა რამდენიმეთ აილაგმა, როცა ყოვლის შემძლე ბიუროკრატის ძალა და გამავლობა რამდენიმეთ შესუსტდა, სვა-და-სხვა ჯურის ლიბერალებმა თავი წამოყვეს და მოწინავე როლს კისრულობენ. ამათ აღარ ახსოვთ ისინი, ვინც ამ დიდებულ საქმეს მთელ თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა. დღეს ესენი ყვირიან ყველაზე უფრო და მშრომელი ხალხის როლი აფუჭებენ. ამიტომ საჭიროა რომ ამ უკანასკნელთ გარეშეს არ გადაეცეს თავისი ბედი, როცა გადაწყვეტაზე მიდგება საქმე. სოფლის და ქალაქის მუშებმა უნდა იცოდენ, რომ იმათი მოძრაობით უწინარეს ყოვლისა სხვები მოითბობენ ხელს, თუ დიდი სიფრთხილე არ გამოიჩინეს პირველათვე. კარგ გაკვეთილს იძლევიან ამ ხრით ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები. იმათ იციან, რომ სოციალუზმის განხორციელება სამერმისო საქმეა, და ამიტომ არაფერს არ წააგებენ ახლა, თუ მუშებს დაპირდებიან, რომ დიდი მომხრე ვართ სოციალიზმის, მხოლოთ თქვენ გონიერი კაცები ხართ და უნდა იცოდეთ, რომ დღეს დღესეობით იმის განხორციელება ხომ არ შეიძლება, და ამიტომ ეს მერმისათვის გადავდვათ, ახლა კი თქვენ ჩვენ პროგრამაზე დაგვყევითო. თუ რაში მდგომარეობს ეს პროგრამა, ეს ჩვენ რამდენიმეთ უკვე ვიცით, მაგრამ ფუჭე და ამაოა ხსენებული ვაჟბატონების იმედი. დღეს მშრომელი ხალხი იმდენათ მომზადებული კი არის, რომ ასეთი რამეებით შეიძლებოდეს მისი მოტყუილება. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ისინი უფრო თავის თავს ატყუილებენ.

ფ. მახარაძე.

ოჯი და რუსეთის ახალი შინაური სესხი.

მუკდენის და ტელინის აღების შემდეგ ბრძოლის შესახებ თითქმის აღარაფერი იბეჭდება. დღეს ყურადღებას იქცევს იაპონიის და რუსეთის მთავრობათა ფინანსიური მდგომარეობა, ანუ ნივთიერი საღსარი ომის გასაგრძელებლათ. უნდა იცოდეთ, რომ დამარცხება ბრძოლის ველზე იმავე დროს ფინანსიური დამარცხებაა და პირიქით ბრძოლის მოგება ანუ გამარჯვება ფინანსიურ გამარჯვებას მოასწავებს. ამიტომ ადვილი გასაგებია, რუსეთის ჯარის უკანასკნელი დამარცხება და უკან დახევა იმავე დროს მის ფინანსიურ დამარცხებას მოასწავებს და პირიქით იაპონიის ბრძოლის ველზე გამარჯვებას ფინანსიური დამარჯვება უნდა მოსლოდა. ეს მართლაც ასე მოხდა. იმას ჰირდება აუარებელი ფული, ამ ფულის საშოვნელათ მთავრობამ ერთათ ერთ საშვალებას უნდა მიმართოს, ესე იგი სესხს. რამდენათ მეტი ნდობა აქვს მთავრობას ხალხის თვალში. იმდენათ მას უფრო ადვილათ შეუძლია სესხი აიღოს და უფრო კარგი პირობებით, და პირიქით. რამდენათ მთავრობას სახელი გატეხილი აქვს, იმდენათ იმას ნაკლებათ ენდობიან ფულის პატრონები, კაპიტალისტები, ან სულ არ

აძლევენ ფულს, ან დიდი გაჭირვებით და იმავე დროს დიდ შეღავათს და სარგებელს ითხოვენ. მუკრენის აღების შემდეგ იაპონიის ნდობამ ერთი ორათ იმატა და მისმა მთავრობამ სულ მოკლე ხანში საზღვარ გარეთ იშოვა რამდენიმე ასი მილიონი მანეთი ომის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ; პირიქით, რუსეთის მთავრობამ საზღვარ გარეთ ვეღარ იშოვა ფული, საფრანგითის კაპიტალისტებმა, რომლებიც პეტერბურში მოეწვიათ ამის თაობაზე, გადაჭრით უარი განაცხადეს, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენ ფულს ვერ გასესხებთო. ამისთვის საჭირო გამარჯვება ბრძოლის ველზე და ან ზავის ჩამოგდებაო, მაგრამ რუსეთისთვის დღეს შეუძლებელია, როგორც ერთი, ისე მეორე. ამიტომ მთავრობას სხვა გზა აღარ ჭონდა გარდა იმისა, რომ შინაურ სესხისათვის უნდა მიემართა და მიმართა კიდეც. თანახმათ 12 მარტის ბრძანებისა გამოცხადდა ახალი შინაური 5%ანი სესხი 200 მილიონის. ჩვენ არ გამოვდგებით დაწვრილებით იმის გამოძიებას, თუ რას გამოიწვევს შინაურ ბაზარზე დღეს ახალი სესხის აღება. საქმე ის არის, რომ რუსეთის მრეწველობა დღეს ისეც შეიწროებულია ომის გამო, რადგანაც ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ნორმალური მსვლელობა შეწყვეტილია. და აქედან კიდევ ფულის აღება ომის საჭიროებისათვის, კიდევ უფრო შეაწუხებს მცხოვრებლების ეკონომიურ ცხოვრებას კრიზისების გამოწვევით როგორც მრეწველობაში, ისე აღებ-მიცემობაში. თუ ეს მდგომარეობა კიდევ რამდენსამე ხანს გაგრძელდა, კატასტროფა აუცილებელი შეიქნება, რომელიც ქვეშ მოიყოლებს ყველა იმას, რაც ხელს უწყობდა დღევანდელ მდგომარეობის გავლენას.

—

ფინლიანდიის სეიმმა ამას წინეთ იშუამდგომლა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა გაუქმებულ იქნას 1901 წელს 29 ივნისს გამოცემული დებულება სამხედრო ბეგრის შესახებ. ხელმწიფე იმპერატორმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და დროებით გააუქმა ხსენებული დებულება. სამაგიეროთ ფინლანდიის ხაზინამ 1905 წლის პირველ იანვრიდან 1907 წლის დამლევამდე სამხედრო საჭიროებისათვის უნდა იხადოს წლიურათ ათი მილიონი მარკა (ოთხნახევარი მილიონ მანეთი).

—

უმაღლესი გადაწყვეტილება. ხელმწიფე იმპერატორმა ფინლიანდიის ერობათა უქვეშევრდომილეს თხოვნაზე 1905 წლის 19 მარტს კეთილ ინება და ბრძანა: გაუქმებულ იქმნას 1907 წლის 1 აგვისტოს დროებითი დადგენილება სასამართლო უწყებაში მოსამსახურე პირთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

—

19 მარტს ქ. სედლეცში დროებითმა სამხედრო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი 56 სათადარიგო ჯარის კაცებს, რომელნიც პასუხის გებში იყვენ მიცემული კაზარმებში უწესოების მოხდენისთვის და სამხედრო მთავრობისადმი წინააღმდეგობისთვის. ერთ ებრაელს და სამ პოდონელს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს, სამს პატიმართა განყოფილება (Арестантскія отдѣленія), 16—პატიმართა გამასწორებელი რაზმი და ციხეში ჯდომა სამი წლით, 13 კაცი გაამართლეს.

ვლეხთა მოძრაობის გამო.

მედგრათ, შეუჩერებლივ იზრდება ხალხის თვით ცნობიერება; ელვის სისწრაფით მოედო სოფლებსაც ხმა თავისუფლებისა. რაც ხანი გადის უფრო ღრმა ფესვს იდგამს ხალხში აზრი თვით მოქმედებისა. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი ყველა ფეხზე დამდგარა, ზღვასავით ღელავს და ლამობს ქვეყნის დაქცევას, თუ მას დროზე არ მიეცემა ის, რასაც მოითხოვს მისი სამართლიანი ადამიანური უფლება. დადგა დღე განკითხვისა, რომლის წინაშე ცოდვიანმა თუ უბრალომ, სასტიკმა თუ ლმობიერმა—ყველამ პასუხი უნდა გაცეს იმ დიდებულ საკითხს, რომელიც წამოაყენა დღეს ცხოვრებამ. ქალამნიანმა გლეხმაც შეიგნო თავისი ადამიანური უფლება და ხმა მაღლა, უშიშრათ ითხოვს აწ არსებულ ცხოვრების პირობათა ძირიან-ფესვიანათ შეცვლას და მის მაგიერ უფრო უკეთესის, სამართლიანი წესწყობილების შექმნას და დამყაებას, გულში დღემდელი მონა და ერთგული ყმა, გაიძახის: მეც ადამიანი ვარ, მეყოს ამდენი მოთმინება, აღარა მსურს პირუტყვსავით მორჩილება და ჩემი ოფლით მონაგარით მუქთა ხორათა კვება-დასუქებაო. აი, ასე ღადადებს და ასე ჩივის დღეს ჩვენი „ტეტია“, რომელთანაც ლაპარაკიც კი თავის დამცირებათ და შეურაცყოფად მიაჩნდა ამ ქვეყნის რჩეულთადა „წმინდა ლისხლის შთამომავალთა“. სად იყო აქამდე გლეხის ეს პროტესტი, ეს შეგნება თავის საკუთარ უფლებათა და ადამიანობისა? დაბა-სოფლიდან გამოგზავნილს კორესპონდენციაში გლეხის ცხოვრების მემატანეანე ერთ ფეროვანად გვიხატავდა და გვისურათებდა გლეხის გაჭირვებულს ცხოვრებას.—მხოლოთ ოხვრა კვნესაღა ისმოდა მის გაჭირვებულ მომაბეზრებელ გოდების ჰანგში. სად იყო თავის საკუთარ ძალაზე დამყარებული იმედი მომავალ განახლებულ ცხოვრებისა. ჩვენი გლეხი გრძნობდა თავის სიბეჩავეს, სისაწყლეს, მწვავე ტკივილს, მაგრამ ამავე დროს უხმოთ და ბრმათ ემორჩილებოდა ბედს. ვერ ბედავდა ხმის ამოღებას, არ მოეპოვებოდა მას არავითარი საღსარი და საშვალება მჩაგველთა წინააღმდეგ საბრძოლველათ. აუტანელ ბატონყმობის მძიმე უღელს ქვეშ ფიზიკურათ და გონებრივათ დამახინჯებული ადამიანისგან არავითარ ხსნას და შველას აღარ ელოდა, ყველასაგან მოტყუებული და ცხოვრების გარეშე გარიყული მხოლოთ ღმერთს-ღა შეცქეროდა და ხელ აპყრობილი მხოლოთ ცას-ღა შეღაღებდა. ღმერთზე შეაგდო მან თავისი ბედი: აწმყო და მომავალიც. მაგრამ აქაც მწარეთ მოტყუვდა ღმერთის შემყურე და მოიმედე მონა. ათასი წლობით განვლილმა ცხოვრების ფაქტებმა ცხადათ და ნათლათ დაუმტკიცეს მას, რომ ალალბედით, თვალხუჭულა ხეტიალი არაფერს მიცემდა და არაფერს მოუვლენდა მას. გაიგო და დარწმუნდა რომ თავის დახსნისათვის საჭიროა სხვა ღონე, სხვა ძალა,—შეერთებული შეთანხმებული მოქმედება, რომ მხოლოთ ყველა ჩაგრულთა და მაშვრალთა ხელის ხელ გაწვდენით და სოლიდარობით მოიპოვებდა პურს, სამართალს და თავისუფლებას. დიახ, გამოიღვიძა დღეს ჩვენმა გლეხმა, თვალები მოიფშვნიტა, ბოროტ ძალას თვალი თვალში გაუყარა და ამაყათ, სასტიკათ მოთხოვა წარსულის ანგარიში. ამ საშინელ, მედგარ პროტესტში გამოიხატა ის უტყუარი კანონი ბუნებისა, რომელიც ამბობს რომ ქვეყნად არავითარი ძალა ტყუილ უბრალოთ არ იკარგება და არც ქრებაო. დღევანდელი მოძრაობა გამომჟღავნებაა და გამოაშკარება იმ პოტენციალური, ფარული ძალისა, რომელიც ათასის წლობით გროვდებოდა და იზრდებოდა ხალხის გულში. რამდენათაც უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდა ძალმომრეობა, იმდენათ უფრო მეტ სიმძულვარესაც იწვევდა ჩაგრულის გულში. ეს სიმძულვარე გაფართოვდა, გაიზარდა, და აი დღეს დაგუბებულ ნიაღვარსავით, აზვირთებულ აბობოქრებულ ზღვასავით ლამობს ქვეყნის წალეკას და ამ ასშინელ ული

დეს სტიქიურ ძალას ვერა ვითარი ამ ქვეყნიური ძალა ვერ შეაჩერებს, ვერ ჩააქრობს ხალხის გულში. ბურტყუნაბიული ნატვრა ოცნებაა.

ლევან ციციშვილი.

ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ

(იხ. «კავკაზი» № 74)

12 მარტიდან დაწყებული გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობა დღით-დღე მწვავდება. გორის მაზრის დასავლეთ და შუაგული ნაწილების ისეებშიც დაიწყეს მთის სოფლებიდან ჩამოსვლა და დიდრონ ჯგუფებით თავმოყრილნი დაბარებენ მემამულეთა სახლ-კარსა და ადგილებში, რითაც ადგილობრივ გლეხებთან ერთად უფრო აძლიერებენ უწესოებას, რადგანაც ოსთა უმეტესობა ადგილობრივ ხდის არეულს და იქვე სჯიან.

სოფლის მახლობელი ვერაფერს არიგებენ, რადგანაც გლეხებმა ისინი თანამდებობიდან დაითხოვეს. ბევრგან სოფლის კანცელარიებში სახეთაო ქაღალდები გაანადგურეს; სოფლის ფოსტა არ სულ არ მოქმედობს, არ და დიდის გაჭირვებით. წერილები ხან დახეული მოაქვთ და ხან გახსნილი. დაბა ცხინვალში თავი მოიყარა მახლობელ სოფლებიდან რამდენიმე ათასმა კაცმა,—და მოითხოვა ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლისა და სასოფლო ქიმის გაძევება. გლეხები მემამულეებისგან თხოულობენ ხელწერილს, რომ სანაცვლოდ მიწები უფასოთ დაუთმონ და ტყეთ სარგებლობის ნებაც უფასოთ ქონდეთ. მემამულეთა მოსამსახურეებსა და მუშებს ეუბნებიან, ამიერიდან აღარ ემსახურონ მათ, თორემ მოკლავთო; ამის გამო მემამულეთა სახლ-კარი, ცხვრის ფარა და სხვა საქონლის ჯოგი უპატრონოთ არის მიტოვებული, ხოლო მემამულეთა უმრავლესობა იძულებულია სახლ-კარი მიატოვოს, რის გამო ზარალი მოსდით.

მოძრაობა იმდენათ გაშწვავდა, რომ უკანასკნელ დღეებში ამ კომისიას,—რომელიც კვეკ. უმაღლეს მთავრობის განკარგულებით იყო გაგზავნილი გორის მაზრაში და რომელსაც ბ-ნი ვეიდენბაუმი მეთაურობდა გლეხებმა მხოლოდ ზოლიტეური ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს, ბოდის კი სულ უარი განუცხადეს,—კომისიის მოწვევით არ შეიკრიბებიან.

14 მარტს ქ. გორში ჯოხებით შეიარაღებულმა დიდძალმა სალხმა უწესოება მოახდინა: სახლებსა და საგუშაგოებში ფანჯრები ჩაჭეჭა, ამპარეს წიოელი დროშა მთავრობის სიწინააღმდეგო წარწერით. ერთ ქუჩაში ხალხმა წრე შეშოაკლო 6 ჯარის კაცისაგან შემდგარ პატრულს და თოფების წართმევა მოუნდომა. პატრული იძულებული იყო ბრძა მოეგერებინა და თავის დასაცველათ ჯარის კაცებმა თოფები ისროდეს. ბრძოდან დაიჭრა 10 კაცი, რომელთაგან ერთი მოკვდა. ხალხი დაიშალა.

დარდეულ წესიერების ასადგენათ გორის მაზრაში გაიგზავნა კიდევ, წინათ გაგზავნილ ჯარებს გარდა, კაზაკთა ორი ასეული და ქვეითა ჯარის ერთი როტა; ამასთანავე, უკვე შემუშავებულია საჭირო დონისძიებანი აღელვებულ გლეხთა და ოსთა შეთანხმების მოსაწესებლათ.

არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.

—

სად. გომი. 19 მარტს, სოფელ ალში ადგილობრივ ჩარჩის ჯანოვეის შეშას, ტეტნი წაუკიდეს. ცხრა საყენიდან ოთხი საყენი გადარჩინეს. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ შეშას ტეტნი ჯანოვეის კაცმა წაუკიდა.

ცხინვალი. 9 მარტს, ცხინვალის სამოგადოებამ თავი მოიყარა დაიხვის ნაბერათ მდებარე ჭალაში, სადაც ქონდათ რჩევა-თათბირი შესახებ იმ კითხვებისა, რომლებიც ქვეყნის უმწეო მდგომარეობამ დღეს მთელის რუსეთის ამბერაში საჭიროთ წამოაყენა. ამ კარეშეჭამ ადგილობრივ ბოქაულის ეურამდის მიაწია, რომელმაც მეორე დღეს დაიბარა სალხი და შეეკითხა: «რასეთ გქონდათ გეშინ ჩემი ერიდობისა, და «უბრძანა»:—«გამოცხადდით უველა სოფლის კანცელარიაში და, ჩემის თანდასწრებით, თქვენში ამორჩეულმა ბერებმა ილაპარაკონო»... ამ «ბრძანებას» სალხმა პასუხი უარდების არ მიაქცია და არც ზემოხსენებულ კითხვაზე მისცა პასუხი. მხოლოთ ერთხმათ დაიძახეს: «არ გვინდა ჩვენ ზოლიცია, რადგანაც «სპოლიტიო» ჩვენ არაფერი გვაქვსო. ზოლიციის დასწრება ჩვენს ერიდობებზე უდგილოა... ჩვენი ეულის ტეეველება სულ სხვაა და ამ ჩვეულ-წესწესს არ შევდგეს, რაც დღემდის იყოო ამ სიტყვებით სალხი დაიშალა, მაგრამ დაიკვის მოედანზე ისევ უცბათ შეიკრიბა 1.500 კაცი; აქვე ბერიები 16 დეპუტატი რომელთა შორის 4 ქართველი, 4 სომეხი, 4 ოსი და 4 ებრაელია. ამ ბერებს დაავალეს, ამ დღეებში მომავალ კომისიას გამოუცხადონ ეოველგვე სალხის გაწეერება, და შეიმუშაონ ამ კითხვები, რომლებიც განსხვავებულებს რუსეთის ამბერაში თხოულობენ. შემდეგ ამისა სალხი გამოემართა ბაზრისაკენ, გამოიტანეს ეკლესიის დროშები და უველა ქუჩები სამდერიოთ და «ძმობა-ერთობის» ძახილით მშვიდობიანათ დაშოიარეს. უწესობა არა მომხდარა-რა. ნაშუადღევის ორ საათზე კრება დაიშალა და ეკლეს სქმეს დაჰკა...

13 მარტს, სოფ. დგვრისის მიდამოზე თამარაშვილის სახლ-კარდაეებისა და ზოკიერთ შინდისის სოფლებიდან სალხს თავი მოუყრია და ცხინვალში ჩამოსვლას აპირებდა, მაგრამ, როცა გაიგო რომ ცხინვალში უწესობას არ მოშდარა, პირიქით წინამძღოლობით დგვრისის ეკლესიასთან მოვიდა. თავმოყრილთა რიცხვი 15 ათასს ეწარბობდა. ზოგიერთმა პირველმა ბერმა სალხის დასამშვიდებლათ წარმოსთქვა სიტყვები ქართულათ და ოსურათ. სალხი თხოულობდა: არ გვინდა მამასახლისი, მწერალი, აქციზი, სტრაჟნიკები, რომლებმაც სულა ამოგვაცალეს, გაგვაღატაკეს.—ტოლ-შვილი შემშილ-სიცივეთ, უქმად-უწყმდოთ გვეხოცება, პირიდან უკანასკნელ ლუკმას გვეღებენ და ისიც კიდევ ზოლიციის მეთაურის ცემა-ტეეებით, დარბევ-დაწიოკებით. აღარ შეეძლიან მოეთმინოთ, მუდამ მწუხარება, მუდამ ტირილ-შემშილი და სიციეე. მართალია, დღემდის, როგორც სხვებს, გვითმენია ეოველგვე მწუხარება, მაგრამ, რა-გი სხვა ქვეყნებში ჩვენსავით ტანჯულებმა დაჰკრეს ზარი თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობისა, ჩვენც იმ ზარის ხმისაკენ მიეწეეთ იმ ზარის ხმა გვსდებიძებს. იეო დრო—ეურებში ბომბა გვქონდა, სიბნელის მორეეში ვეცურავდით, ქვეყანა ჩადით დახურული გვეგონა და მთავრობაც ჩვენის უვიცობით სარგებლობდა, მაგრამ ახლა გამოეეხიზლდით მოეითხოვთ ეოველსავე იმას, რაც ჩვენსავით სხვა ქვეყნებში ტანჯულებს მიენიჭებათ... ძალიანაც რომ გვინდოდეს ჩვენი შეიდების სწავლა-განვითარება—სიიდან უნდა ვასწავლოთ, რადესაც ჩვენ ნათელარს ხელიდან გვტაცებენ: მებაღონე, მდგელი, აქციზი, მამასახლისი, მწერალი და ნადოგები! რომელ ერთ მოთხოვნილებას გასცეს პასუხი ჩვენის ოფლით მოპოეილმა? გვინდა სკოლა უფასო, სამშობლო ენაზე სწავლა, თვითმართველობა! გვინდა თავისუფლება, მშვიდობიანობა, სულის მობრუნება!.. «გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთობას, ძმობას—მეგობრობასა»-ო.

«იეერია».

—

ს. შინდისი. (გორის მაზრ). 12 მარტს მამასახლისი და მწერალი გვიდნენ დაიხვს გადმა ს. კარალეთში მომრიგებელ-შუამავალთან და მოახსენეს «ბუნტის კაცი» მოვიდა და სოფელი დღა-ვსო. მომრიგებელმა-შუამავალმა შემოთვალა, ხვალ მე თითონ გამოვალ შინდისში და ხალხმა პირადათ მომახსენოს, რაც მოთხოვნილება აქვს და ყველაფერს შეეუსრულებ, თუ წესიერება იქნებაო; მეორე დღეს, კვირას, ხალხი კანცელარიასთან შეკრებილა, მაგრამ მომრიგებელმა- შუამავალმა მობძანება არ ინება, ხალხმა ეს იწუინა, იგრიალა და კანცელარია სულ ერთიანათ მიდეწა.

ოთხშაბათს, 16 მარტს, სადმოს, ეკლესიაზე ზარი ჩამოკრეს და ,,დარისხეს'', ე. ი. ზარის რეკვით უყველას ატყობენ მეორე დღისათვის მუშაობა აკეკვოთ და უყველანი ეკლესიასთან შეგროვდეს სათათბიროთ. მართლაც, მეორე დღეს, ეკლესიასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სხვა სოფლებიდანაც ძალიან ბევრნი მოვიდენ.

დიდებული სანახავი იყო ამ მოზღვავებულ ხალხის კრება სწორეთ დაშქრობას მოგაგონებდათ.

გორის მაზრის ისტორიაში მარტო აქ აჩინა თავი ერთმა ფაქტმა. თავ.-ასნაურთა და გლეხთა სრულმა სოლიდარობამ, რაიცა შეიძლება მხოლოთ იმითი ახსნას, რომ აქაური თ.-ასნაურნი ბევრათ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ვიდრე გლეხნი— გარდა თითო-ოროლა თავადისა. საყურადღებოა ის, რომ ერთ სოფლიდან ხალხს ერთი გადარიებებული თავადი მოუძღოდა წინ ბაირაღით ხელში.

ეკლესიასთან დიდი ბჭობა გაიმართა. ორატორები უფრო თავად-ასნაურნი იყვენ, რომელთაც ხალხი დაჰპირაკის დროს თანაგრძნობას უცხადებდა. ამ დროს ხალხთან მივიდა შეძლებული მემამულე ზ. ფავლენიშვილი და შეჩივლა, მუქარის წერილი მომივიდა, გადაწვას მიპირებთო. აი წერილიცაო. ხალხმა დაუძახა, შენი პირადი მტერი იქნება ვინმე, ჩვენ არავერ შუაში ვართ, ან იქნება ეგ წერილი შეთხუზულია.

შევხედოთ, სიდგანდაც, ცხინვალის ბოქაულიც გაჩნდა რვა სტრაჟნიკით. ბოქაულის ბრძანებით სტრაჟნიკები შორიახლო კამწკრივდენ და თოფები მოიმარჯვეს. სქმე სისხლის დვრამდე არ მისულა. ბოქაული სტრაჟნიკებით წავიდა და ხალხიც მშვიდობიანათ დაიშალა.

ერიდობის მოთხოვნილებანი მომეტებულ ნაწილათ იგივეა, რასაც გორის მაზრის სხვა სოფლებიც თხოულობენ. (ივერია)

სოფ. ძალისი (ქართლი). 15 მარტს მაზრის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს სოფ. ძალისში ორი კაცი, რომელთაც ადგილობრივი პოლიცია ეჭვის თვალით უყურებდა და თვლიდა ხალხის მეთაურებათ. დატუსაღებული პირები ჩაიყვანეს სოფელ მუხრანში, სადაც იმ ჟამათ იმყოფებოდა მაზრის უფროსი. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელ მუხრანში მივიდა ძალისიდან კომლზე კაცი და მოთხოვა გაენთავისუფლებიათ დატუსაღებული, ან მთლათ სოფელი დაეტუსაღებიათ. სოფელი თავის მოთხოვნილებას იმითი ასაბუთებდა, რომ თუ დანაშაულობა რამე მიუძღვის სოფელს მთავრობის ან მემამულეთა წინაშე, ეს მთელი სოფლის დანაშაულია და არა ერთისა ან ორის კაცისა, ამიტომ მთავრობამ დასაჯოს მთელი სოფელი და არა რამდენიმე პირიო. შემდეგ მოვიდა სოფელი წილკანი და აგრეთვე მოთხოვა მაზრის უფროსს დატუსაღებულთა განთავისუფლება. წილკანს მოჰყვა მჭადისჯვარი, ჭილურტ-ებნისი, გრემის-ხევი, შუა-ხევი, ქვითკირის-წყარო, კოდის-წყარო. ყველა სოფლებმა მოთხოვეს მაზრის უფროსს დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ან საერთო სასჯელი. სოფლის მოძრაობაო, თქვეს მოლაპარაკეებმა, გამოწვეულია ღრმა ეკონომიურ და საზოგადოებრივ პირობებით; ამ მოძრაობაში ყველა გლეხს უდევს მონაწილეობა და ამიტომ თუ გლეხ-კაცს სასჯელი მოელის,—ეს უნდა იყოს სასჯელი ყველასთვისაო. მაზრის უფროსმა პირველათ უარი განუცხადა სოფლელთ თხოვნის დაკმაყოფილებაზე, ბოლოს კი გაანთავისუფლა დაპატიმრებულნი შემდეგის სიტყვებით: »ვანთავისუფლებ დატუსაღებულთ იმიტომ, რომ თქვენ მშვიდობიანობის მომხრე და დამცველნი ყოფილხართ და უწესოების მოხდენა არ მოისურვეთო“.

—

სოფ. მეჯვრის-ხევი (ქართლი). 20 მარტს, სოფელ მეჯვრისხევში აპირებდა თავის მოყრას სხვა სოფლების გლეხობა, მაგრამ ბოქაულმა, როგორც კი გაიგო ხალხი თავს იყრისო, დილითვე დარაჯები დაყაზახები ჩააყენა გზებში და არ უშვებდა, თავის ჰირ-ვარამის გამოსათქმელათ. აი საათი იქნებოდა, რომ ეკლესიაზე მიასვენეს სანდრო გოგოლაძის მეუღლე. ეკლესიაზე მოიყარა თავი ორასამდე კაცმა და გაყვა ცხედარს. გზაში ხალხი თან და თან ემატებოდა. სასაფლაოზე შეიკრიბა თითქმის ოთხი ათასამდე კაცი, ოსი და ქართველი. დასაფლავების შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ ჰირ-ვარამზე. გამოთქვეს თავიანთი აზრი: წარუდგინონ მემამულეებს უმთავრესი მოთხოვნილება - დროებით ვალდებული გლეხები დაუყოვნებლივ განთავისუფლდენ, საბალახო და ტყე (მხოლოთ ნედლი) თავისუფალი უნდა იყოს. ნედლ ხე-ტყის გაშოტანას ხალხის მიერ ამორჩეულნი უნდა წყვეტდენ. უკეთუ მემამულის მამულს მოხნავენ, მეათედი მიეცეს. მღვდლებს დრამა მოესპოთ. სკოლა სახელმწიფო ხარჯზე იყოს. განაცხადეს: საავათმყოფო, ექიმი და ბებია ქალი მხოლოთ თაყად აზნაურთათვის იყო დი არა გლეხთათვისაო, როცა ჩვენ ავათმყოფს მივიყვანდით, ყურადღებას არც კი გვაქცევდენ, გადასახადი კი გვხვდებაო. გლეხებმა შეფიცეს ერთმანეთს და წყნარათ დაიშალენ.

—

საგარეჯო 17 მარტს. დილით, საგარეჯოს გლეხობამ მოიყარა თავი და გაჩეხა ტყე, „ალინჯად“ წოდებული, რომელიც სოფელს მუდამ საფიჩხეთ ეჭირა და ეს ათიოდე წელიწადია, «ლესნიჩმა» სახელმწიფოთ გახადა და წკირს არავის აჰკრევინებდა-

აქედან ხალხი ამოვიდა სოფელში და მიადგა თავის აშენებულ შვენიერ სკოლას, რომელიც 5,000 მ. ნაღდი დაუჯდათ, გამოიყვანეს სამივე მასწავლებლები გარეთ (იმათში მხოლოთ ერთია ქართველი) და უთხრეს დალაგებით: «გავტყავდით, 1,000 მ. წყლიწადში, ხომ იცით, ჩვენის ჯიბიდან გაძლევთ ჯამაგირსა, შეშა უკლებლივ გაქვთ, სტოროჟი გვეგონა, ჩვენ შვილებს ჰკუაგონებას ასწავლიდით და თქვენ კი გამოგვტენით შვილები,—აყვირებთ „კოზლიკ საბაკას და ქართულათ სახელსა და გვარს ვერ მოაწერენ.. გვეყო ამდენი ღლეტა! გაგვეცალენით აქედან, თორე ველარ მოვითმენთ“. მიადგენ სასოფლო ქსენონს და დაკეტეს. ამასთან ფერშალს უთხრეს: „აღარ გახსნაო!. ექიმს წელიწადში 2,000 მ. მეტი აქვს ჯამაგირი და ხალხს კი მასხარათ გვიგდებს—სულ ქაღიაქში ცხოვრობს, აქ კი წელიწადში ორჯერ არ გვეჩვენება თვალითო...,, მიადგენ აფთექას, ააძრეს უშველებელი რუსული ,,ვივესკა'', აკიდეს კაცებს და წააღებიეს. მერე გამოიყვანეს გარეთ აფთექარი და უთხრეს: ,,ხვალვე თვალიდან მოგვწყდი. კუდი-კუდზე გადაგიბამს აქაურ ფერშალ-ექიმებებთან და ტყავს გვაძრობთ წამლების ძვირათ ყიდვითაო... ავიდენ აქციზის ჩინოვნიკთან სადგურში. უფროსი და უმცროსი ჩინოვნიკები წასულიყვენ, მაგრამ მაინც დაუმტვრიეს ფანჯრები. დახიეს საქმეები, მოიტანეს იქვე ქვაბები და ცადეს არაყის გამოხდა... ხალხი აქციზის შესახებ მეტათ გულნატკენია: ვენახი ღვინოზე მეტ შემოსავალს არაყიდან იძლეოდა... არაყით მივდიოდით იოლათ და დღეს ყველაფრიდან სული შეგვიხუთეს და არყის ხდაც ხელიდან გამოგვაცალესო. თუ არაყზე აქციზი არ გადავარდა, ჩვენ წელში ვერ გავიშლებითო.

საზოგადოთ გლეხობას შეგნებული აქვს თავისი აუტანელი მდგომარეობა და ნურც უბრალო მოძრაობათ ჩასთვლის ვინმე ამ მოძრაობას. პატარას კითხავ თუ დიდს, ყველა ნათლათ გიხსნის გლეხის აწინდელ მდგომარეობის აუტანლობას.

ქიზიყი. არც ქიზიყის მკვიდრნი ჩამორჩენ სხვებს. აქაც ამ ცოტა ხინში გაისმა დიდი უკმაყოფილება აწ არსებულ წესების წინააღმდეგ. გაისმა ჩივილი ბეჩავ ცხოვრებაზედ. თუმცა ჯერ-ჯერობით საიმისო არა მომხდარა რა, მაგრამ მაინც არეულ-დარეულია დღევანდელი ვითარება. მით უმეტეს, რომ მთელმა ქიზიყმა, თითქო ჯადო უგდესო, ისე ერთბაშათ გაახილა თვალი. ხალხი გატაცებულია ერთის სურვილით, ყველას პირზედ ერთი აკერია: გვეყო ამდენი ტანჯვა და დამცირება. ვმუშაობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ ჩვენისევ მშივრები, ტიტვლები და გაუნათლებლები ვართო.

17 ამ თვეს სოფ. ბოდბისხევში მოხდა კრება ქიზიყის ყველა სოფლის წარმომადგენელთა. ამ კრებას უნდა წინდაწინვე შეემუშავებია ქიზიყის საჭიროებანი და შეედგინა მოთხოვნილებანი. კრებას დაესწრო ასამდე წარმომადგენელი. და გასტანა თითქმის ოხ საათამდის. გამოირკვა თუ რა შეეწროვებული და დაბეჩავებულია ქიზიყი ათას გვარ გადასახადით, უსწავლელობით და უუფლებობით. დაადგინეს (ამ დადგენილებას გადაცემენ გასაშინჯავად მომავალ დიდ კრებას მთელი მაზრის მცხოვრებთა): მოისპოს უცხო ტომის გადმოსახლება სიღნაღის მაზრაში, რადგან თვით ადგილობრივ მკვიდრთაც არა ყოფნით ადგილ-მამული, მოისპოს გამიჯვნის დავა სასამართლოებში გლეხთა და თავისუფალ ხალხს შორის. ის ტყეები, რომლითაც სარგებლობდა ქიზიყი წინათ, უნდა გადაეცეს ქიზიყის საკუთრებათ, აგრეთვე ის სათავადო ტყეები, რომელნიც დაეტანება ამ საზღვრებში. ტყით სარგებლობა უნდა იყოს უფასო და უბილეთო. ეს ტყეებია: შირაქის, სიღნაღის და ლაგოდეხის სალესნიჩოები. გაუქმდეს საერო დარაჯები. გადასახადი დაარსდეს შემოსავალზედ 500 მ. ზეით. ნაკლები უნდა განთავისუფლდეს; მოისპოს ბაჟი როგორც პირდაპირი, ესე არა პირდაპირი; ქართველი ჯარის კაცები არ უნდა იგზავნებოდნენ უცხო ქვეყანაში, არამედ მსახურებდენ თავიანთ სამშობლოში. შემოღებულ იქნას დამოუკიდებელი თვითმმართველობა სოფლათ. მოისპოს წოდებრივი სასამართლო. დაწესდეს ერთი სამაზრო სასამართლო ყველა წოდებისთვის თანაბარი. სამართალი, და სამართალი და საქმის წარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზედ. მოსამართლე უნდა ირჩეოდეს ხალხის მიერ ვადით. ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს ქართული ენა. გაუქმდეს ბაშფორთი. სწავლა უნდა იყოს სავალდებულო 16 წლამდის, უსასყიდლოთ უნდა დაარსდეს ჩვენს ქვეყანაში საშუალო და უმაღლესი სკოლები ყველა დარგისა. სწავლება უნდა წარმოებდეს ქართულათ. ღარიბებს უნდა მიეცეს ტანისამოსი და სწავლის ნივთები. უნდა გაუქმდეს ეგზამენები (გარდა უმაღლეს სკოლებისა) და ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ერთი სასწავლებლიდან მეორეში შეიძლებოდეს გადასვლა შესაფერ კლასში. მიეცეს ქიზიყ'ნებ გაიყვანოს კახეთში რკინის გზა, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ხალხის ეკონომიურ განვითარებისთვის. დაარსდეს განსაკუთრებული ქიზიყის მაზრა ყველა დაწესებულებებით და სამმართველოებით რომელიმე შუაგულ სოფელში.

—

ჭალურტი. (ქართლი). 5 მარტს შეიკრიბენ თავის დღევანდელ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლათ შემდეგი სოფლები დუშეთის მაზრაში: ჰილურტი, ებნისი, გრემის-ხევის საზოგადოება, ბაზალეთი, ქაის ხევი, საკრამული და სხვა ახლო-მახლო პატარა სოფლები. ყრილობებზე სოფლებმა გადაწყვიტეს შეუერთდენ სხვა სოფლებს და მათთან ერთათ მოითხოვონ საჭირო ცვლილობების მოხდენა გლეხი კაცის ახლანდელ ცხოვრებაში.

ლეჩხუმის მხარე. ეს ერთი კვირაა, რაც ლეჩხუმის ყოველ მხარეში დაიწყო ხალხმა გაფიცვა და ყოველ კუთხიდან გაისმის, ან სიკვდილი, ანუ მოჰოვება ადამიანურ ცხოვრებისაო. დაიწვა სოფლის რამდენიმე კანცელიარია და სკოლა, რომელიც ორიბელის კანცელარიასთან ახლო იყო. გაფიცვა პირველათ მოხდა ორიბელის საზოგადოებაში და შემდეგ ცეცხლივით მოედვა მთელს ლეჩხუმს. მოსპეს მღვდლების დრამა და უზომო გადასახადები, განდევნეს ფოსტის ცხენები, იასაულები და მოსპეს ამის გადასახადი, რომელიც თითოეულ საზოგადოებას წელიწადში არა ნაკლებ 600 მან. უჯდებოდა. მოსპეს საგლეხო ბანკში ფულის შეტანა, რადგან არავითარი სარგებლობა ამ ბანკს საზოგადოებისათვის არ მიუცია და არც იციან, ეს ბანკი რომელ ქალაქში არსებობს, ან ვინ მეთაურობს, ვინ სარგებლობს. თავად-აზნაურთ მოთხოვეს სასოფლო გზა-ხიდის კეთებაში და ეკლესიების მოვლა-ყარაულობაში მონაწილეობის მიღება და ბევრი რამ სხვა...

—

სოფ. მექვენა. საერთო მოძრაობას არც ჩვენი კუთხე ჩამორჩა: აქაც 16 ამა მარტს სასოფლო ყრილობაზე, რომელიც ადგილობრივი მთავრობის განკარგულობით მოხდა, გლეხებმა გამოაცხადეს თავისი უკმაყოფილება ეხლანდელ მართვა-გამგეობაზე. ყრილობას დაესწრო ადგილობრივი ბოქაულის თანაშემწე თავადი ყიფიანი, რომელსაც ყრილობის მიერ ამორჩეულმა ორმა დეპუტატმა შემდეგ მუხლებში დაუსახა მცხოვრებთა საჭიროებანი:

1. ჩვენ გვყავს დაქირავებული 500—600 მანათათ ცხენები, რომლებითაც ჩინოვნიკები სარგებლობენ. მეტი უსამართლობა განა იქნება; ვითხოვთ მოისპოს ფოსტის ცხენების გლეხებისაგან დაქირავება და, თუ რომელიმე ჩინოვნიკისათვის საჭირო იქნება,—ჯამაგირი აქვს და თავის ფულით იქირაოს, ჩვენ კი ნუ შეგვაჯდებიან კისერზე.

2. გზა ყველასათვის საჭიროა,—მაშ რატომ ხდება ის უკანონობა, რომ გზას მარტო ჩვენ, დაბეჩავებულ გლეხებს, გვაკეთებინებენ და სხვა წოდება კი თავისუფალია!? კანონი და სამართალი მოითხოვს, რომ გზა ყველამ ვაკეთოთ, განურჩევლათ წოდებისა.

3. სოფლის სასამართლოში ოთხი იასაული გვყავს გლეხების ქირით. საქმით კი ისინი უფრო თავადებს ემსახურებიან, მაშასადამე, უსამართლობათ უნდა ჩაითვალოს რომ ჩვენ, გლეხებმა, თავად-აზნაურობას კაცები უნდა ვუქირაოთ, და ჩვენთან ერთათ იმათაც მიიღონ მონაწილეობა იასაულების დაქირავებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვინთავისუფლონ ჩვენი იასაულები მათი საქმეებისაგან.

4 მღვდლები ორ-ორ მანათს გვახდევინებენ დრამის ფულათ. ეს გადასახადი ჩვენ არაფერში არ გვშველის და არ გვეთვლება. იმათ, გარდა იმისა, რომ ჯამაგირი ეძლევათ ხაზინიდან, სხვა შემოსავალიც აქვთ მრევლისაგან, მაგრამ ადამიანის ბუნება გაუმაძღარი არისო, იტყვიან—ისეა. ნათლა დაგვჭირდება, ზეთის კურთხევა, მკვდრის გასვენება, ჯვრისწერა ან სხვა რომელიმე მღვდელ-მოქმედება,—ისე ფეხს ვერ მოაცკლეინებთ სახლიდან მღვდელს, თუ გასამრჯელო წინდაწინ არ მიართვი. ნიხრი ხომ იმათთვის არ არსებობს და, ვისაც როგორ მოხვდება, გასამრჯელოს ისე იღებს. ამიტომ უკანონოთ ვთვლით დრამის ფულს და ვითხოვთ, რომ მოისპოს მისი გარდახდევინება.

5. აღარა ვართ ამის მეტი! ლამის არის სიღარიბისა და გაჭირვებისაგან სული ამოვუგდეს! ამ ათასნაირმა მოუწესრიგებელმა გადასახადებმა ხომ სულ მიწასთან გაგვასწორა. რა სამართალია, მოვთხოვოთ გარდასახადი იმისთანა კაცს,

რომელსაც სულს გარდა არავითარი სარჩო-საბადებელი ალარ გააჩნია, რომელიც ყელამდის ვალშია ჩაფლული! გადასახადი ვადახდეს მხოლოთ იმას, ვისაც შეუძლია! ღარიბ ღატაკები კი ყოველგვარ გადასახადებისაგან უნდა გათავისუფლდნენ.

6. ეკლესია ყველასია: გლეხისაც და თავადისაც. ყარაულის ქირას კი მარტო ჩვენ, გლეხებს, გვახდევინებენ. რატომ უნდა იყოს ასე? დეე, იმათაც უყარაულონ თავიანთ მკვდრებსა და ეკკლესიას.

6. ჩვენგან ამორჩეული სოფლის მოხელეები: მამასახლისი, მოსამართლეები და სხვები უფრო თავის ჯიბის მოსამსახურეები არიან, ვიდრე საზოგადო ინტერესებისა. სამართალი ყოველთვის იმისკენ იწევს, ვისაც შეძლება აქვს. ღარიბისთვის კი მათგან გაჩიხნებული სამართალი უსამართლობა არის და ამიტომ ღარიბი ვერ ღირსებია მათგან სწორს სამართალს. ის სამართლისაგან ყოველთვის დაჩაგრული გამოდის, ამისათვის, თუ ამაზე უკეთ არ გვეძნება მოხელეებისაგან საზოგადო ან პირადი ინტერესების სისწორით დაცვა, არ გვინდა ისინი და იმათ მაგიერ სხვაფრივ მოეწყოს სოფლის მართვა-გამგეობა.

ბოლოს თ-მა ყიფიანმა გაუმარტა ყრილობას, თუ რაში მდგომარეობს სამხედრო წესები, რომლებიც ამჟამად მთელ ქუთაისის გუბერნიაში მთავრობისაგან შემოღებულია და რა გზას უნდა დაადგეს ხალხი, რომ არ შეაქნეს მსხვერპლი სასტიკ სამხედრო სამართლისა რამე დანაშაულობისათვის.

ამ დღეებში მოელიან ჯარს, რომელსაც მთავრობა გზავნის რაჭა-ლეჩხუმში მოძრაობის ჩასაქრობათ.

ამბობენ, რაჭა-ლეჩხუმის ზოგ სოფლებში უკვე შემოუდიათ გურიის მზგავსათ თავისებური მართვა-გამგეობაო. ზოგან ხალხს კიდევაც შეუფიცია ერთმანეთისათვის ერთგულებაზე საერთო მოძრაობის სასარგებლოთ.

დაწვეს ამ კვირაში ჟყვიშის სასოფლო სასამართლო და ორბელის სასამართლო, რომლიდან ცეცხლი სკოლის შენობებზეც გადასულიყო და გაენადგურებია, სხვაგან სოფლის სასამართლოებს ყ-რაულები უყენია.

—

ოზურგეთი. 18 მარტს აქ მოვიდა ქუთაისის გენერალ გუბენატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი, თან ახლდნენ ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. კ. ერისთავი, მაზრის უფროსი ჯაფარიძე (უკვე თანამდებობას ასრულებს) და სხვა მოხელენი. გენ.-გუბერნატორმა მისვლისთანავე დაათვალიერა აქ დაბანაკებული ჯარები და წავიდა გენ. ალიხანოვის სადგომში. მეორე დღეს, 19 მარტს, გენ.-გუბერნატორი მივიდა თვით-მმართველობის დარბაზში, სადაც მას დახვდენ ქალაქის მოურავი, ხმოსნებით და რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებნი. გუბერნატორმა მიმართა იქ მყოფთ და უთხრა: „ამ ბოლო დროს თქვენში მეტის მეტი არა სასიამოვნო ამბები ხდება; ძალიან არიე-დარიეთ ყველაფერი,— ეს მკვლელობა, ეს ძარცვა-გლეჯა და ათასი უწესოებანი. რა არის მიზეზი ამ ეთის უჩვეულო მოძრაობისა?“ ამაზე ხმ. ბერიძემ შემდეგი უპასუხა: „ჩვენში ისეთი არაფერი ხდება და არც მომხდარა, რაიცა სხვაგან არ იყოს. წაიკითხეთ მარტო გაზეთები და ცარწმუნდებით, რომ სხვაგან უარესებიც ხდება; მაგ. გურიაში შემთხვევა არ ყოფილა, რომ ხუთასი და ათასი კაცი დასცემოდეს რომელსამე მემამულეს, ან სხვას და წაერთმიოს ყველაფერი, რაიცა რუსეთში ხშირი მოვლენაა. რუსეთის ხალხი გაჭირვებულია და ღელავს, ისე ვართ ჩვენც... თქვენზე წინათაც ყოფილან აქ მთავრობის წარმომადგენელნი, რომელთაც მივმართეთ თხოვნით და ავუხსენით ჩვენი გაჭირვება, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცევს, ახლა კი ჯარები ჩ გვიყენეს; კვლავ ვარწმუნებთ, რომ აქ ისეთი არაფერი არ არის, რაც არ იყოს მთელ რუსეთში“... აქ გუბერნატორმა შენიშნა: „როგორ თუ არ არის, როცა კაცს ქუჩაში კლავენო“.

— ჩვენ „დესტენიკათ“ ვერ დავდგებით, რომ კაცის მკვლელებსა ვდიოთ. ყველას რათ გვედება ბრალი? განა სხვაგან კი არ არის ავი კაცი? უპასუხა ხმოსანმა. შემდეგ ილაპარაკა დ. ცეცხლაძემ, რომელმაც ბნ გუბერნატორს გაუმარტა პირველი მიზეზები გლეხთა მოძრაობისა და მოიხსენია 1901—1902 წწ. ჰირნახულის მოუსავლობიანი, რამაც ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო და რასაც გლეხების მემამულეთა წინააღმდეგ გაფიცვა მოყვა. მოახსენა აგრეთვე, ის თუ როგორ შეევწროებასაც აყენებდნენ მებატონეები გლეხებს, და ბოლოს თქვა: „თუმცა ზოგიერთ მემამულეთ უნდოდათ ნაკლებ საიჯარო ქირით მიეცათ მიწა გლეხებისათვის, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ დაანება და ამითი საქმე უფრო გაამწვავეო. ზოგიერთ მემამულეთ, რომელთაც უნდოდათ განცხადება დაებეჭდათ და სოფლებში გაეკრათ „საყანულის რაოდენობას ვუკლებ ჩემს მიწებში და, ვისაც გინდათ, აიღეთო“, ასეთი განცხადების დაბეჭდვის ნება არ მისცა ადმინისტრაციამო»... აქ მაზრის უფროსმა შენიშნა,— მართალი არ არისო!...

ბოლოს ბ. გუბერნატორმა წინადადება მიცა ყველა იქ მყოფთ: «რაც იყო.იყო, ხოლო ამას შემდეგ მშვიდობიანათ იყავით, დაწყნარდით, ამას რას უყურებთ, რასაც გაზეთები წერენ, დაივიწყეთ ყველაფერი, თუ გინდათ სასტიკი ზომები აიცილოთო. აქ გიტოვებთ გენ. ალიხანოვს და, რაც დაგჭირდეთ იმას მიმართეთ და ყველაფერში შემწეობას ამოგიჩენთო. რამდენისამე ხნის შემდეგ აქ ჩამოვა კავკასიის ნამესტნიკი, რომელიც ყველაფერს გამოიკვლევს, გამოიკითხავს და, თუ თქვენც წინანდელ შეცდომებს გაასწორებთ, მთავრობაც ყველაფერში თქვენი დამხმარე იქნება»-ო. («ივერია»).

ეს ერთი კვირაა, რაც გლეხების მოძრაობამ რაჭა ლეჩხუმშიაც იჩინა თავი. სასამართლოებს, და ადმინისტრაციას უცხადებენ თავიანთ მოთხოვნილებებს. პირველი სასამართლო დაიწვა პატარა ონში (სოფელია). იმის მაგალითს მიყვენ სოფლები ტოლა, ორბელი და ჟყვიში. ადმინისტრაციის ერთმა წარმომადგენელმა დაიარა ეს სოფლები და გამოელაპარაკა მოხდარ ამბების შესახებ. ხალხმა თავის მარივ შემდეგი მოთხოვნილებანი წარმოუდგინა

დროებით ვალდებული გლეხები დაუყონებლივ გათავისუფლებულ იქნენ მიწიანა სახელმწიფოს ხარჯით; უნდა მოისპოს არა-პარდაპარი, დაფარული გადასახადები; შემოღებულ იქნას გადასახადი შემოსავალზე, ხოლო 500 მანეთის ნაკლებ შემოსავალზე არავითარი გადასახადი არ დაწესდეს; უნდა დაწესდეს უფასო, საყოველთაო და სავალდებულო სწავლება ორივე სქესის ბავშვებისათვის, უნდა გათავისუფლდეს გლეხობა სხვა და სხვა ზედმეტ გადასახადებისაგან და სხვა.

სხვა და სხვა ამბები.

ამ დღეებში პეტერბურგში დაიჭირეს რუსეთის რევოლიუციონერთა და ანარქისტთა შებრძოლ ორგანიზაციის ჯგუფი, რიცხვით 12 კაცი. ხსენებული ორგანიზაცია ამოაჩინეს სამ ანარქისტთა წყალობით, რომელთაც გადაეცვათ ორს მეეტლის ტანისამოსი და ერთს შიკრიკის და თვალყურს ადევნებდენ სხვა და სხვა თანამდებობის პირთ. ყველანი 17

მარტს დაიჭირეს ქუჩაში და ამასთან ისე მოულოდნელათ, რომ მხოლოთ ერთმა იმათგანმა, შიკრიკის ტანისამოსში მყოფმა მოახერხა, რევოლვერის გასროლა, მარა ვერავინ ვერ დაჭრა, დაჭერილთ ვინაობა გარდა ივანოვისა, ლეონტიევისა, სავინკოვისა და მარიკოვისა, ჯერ ვერ გაუგიათ. ამოაჩინეს ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი; გარდა ამისა ლეონტიევს აუარებელი დოკუმენტები უპოვნეს. ამ დოკუმენტების საშუალებით ირკვევა მთელი სურათი ანარქისტთა საიდუმლო მოქმედებისა. საქმის ვითარებისაგან ჩანს, რომ ანარქისტთა მოქმედება შვეიცარიიდან შემოდის რუსეთის იმპერიაში.

—

18 მარტს სოლოლაშენის მკვიდრეებმა შეკრიბეს წვერის, არადეთის და სოლოლაშნის გლეხ-კაცობა, მოილაპარაკეს ერთმანეთში და შემდეგი დაადგინეს: მიეცეს მემამულეს მეათედი მოსავლისა; ნადელები უფასოთ, ვისაც შეუიდული აქვს, იმას ფული ისევ უკან დაუბრუნდეს. საწვავი ტყე მიეცეს გლეხობას უფასოთ, საძოვარი, საწყლისპირო თავისუფალი უნდა იყოს. მწყ, გუთანი და ურემი მემამულის სასარგებლოთ მოისპოს. გზა უნდა გააკეთოს ყველამ: გლეხ-კაცმა, თავადმა, აზნაურმა და მღვდელმა. ყველა ზემოხსენებულში დაეთანხმენ მემამულე კალატოზიშვილები და ს. ამირიჯიბი. ორთავ მხარემ კმაყოფილება განაცხადა. ბოლოს ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ მოსპონ ძალმომრეობა და ცეცხლის წაკიდება. ამ შემთხვევაშიაც ორთავ მხარემ შეფიცეს ერთმანეთს, რომ არავითარ ძალას არ მიმართონ, ხოლო ვინც ამ ფიცს გადაჰა, იმას ჯარიმა დაედოს.

—

ცხინვალის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოთხოვეს მომრიგებელ-მოსამართლეს საქმე მოესპო და დაუყონებლივ წასულიყო. ამის გამო მომრიგებელ-მოსამართლემ დახურა სასამართლო და ჩამოვიდა თფილისს. საქმის ვითარების გამოსარკვევათ ოლქის სასამართლომ ცხინვალში გაგზავნა სასამართლოს წევრი მოსკალევი.

—

22 მარტს, **ბაქოში** განიზრახეს ბოქაული მაჰმედ-ბეგოვის მოკვლა. ბოქაული გადარჩა და მძიმეთ დაიჭრა მხოლოთ პოლიციელი თათარი. თათრები მკვლელებს დაედევნენ, რომლებიც სომხები ამოჩნდენ. ერთი სომეხი მოკლეს, მეორე დაჭრეს, ორი შეიპყრეს. ხალხი შეშინდა. მაღაზიები დაკეტილია. ხალხი ხელ-ახლა მიდის ქილაქიდან.

—

თფილისში თამამშევის ქარვასლისა და სხვა სამანუფაქტურო მაღაზიების ნოქრები გაიფიცენ, მუშაობაზე ხელი აიღეს და მაღაზიების პატრონებს თავიანთი მოთხოვნილებანი წაუყენეს. ნოქრები თხოულობენ; 1) 8 საათის სამუშაო დღე. 2) საქონლის გაყიდვას წინდაწინ აღნიშნულ ფასებში (უვაჭროთ). 3) მუშტრების მიხმობის მოსპობას. 4) წელიწადში ერთი თვით სამსახურიდან გათავისუფლებას ჯამაგირის შენახვით. 5) ნოქრების მიღება-დათხოვნის უფლებას თვით ნოქრებისაგან. 6) პროცენტების მოსპობას. 7) ჯამაგირის მიცემას თვის შუა რიცხვებში. 8) ნოქრების სამსახურიდან დათხოვნის ერთი თვის წინათ გამოცხადებასა და სხვა.

—

თფილისის სტამბების მომუშავეებმაც თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს სტამბების პატრონებს. აი ეს მოთხოვნილებანი: 1. რვა საათის სამუშაო დღე; 2. კვირა უქმე დღეების წინ 6 საათის სამუშაო დღე; 3. ზედმეტ მუშაობის სრულიათ მოსპობა; 4. ჟურნალ-გაზეთებზე კვირა-უქმე დღეობით მუშაობის მოსპობა. 5. ავათმყოფობის დროს ორის თვის განმავლობაში სრული ჯამაგირის ძლევა. 6. ექიმი და წამალი, როგორც მომუშავეებისა, ისე მათ ოჯახებისთვისაც უფასო იყოს 7. სტამბის ჰიგიენურათ მოწყობა; 8. უფროსებისაგან ზრდილობიანი მოპყრობა; 9. შეგირდების მიღების დღიდანვე თვეში 3 მანეთი, სამი თვის შემდეგ—6 მანათი; 10. ჯამაგირების დარიგება მუშაობის დროს. 11. პოლიტიკურ დამნაშავეთა მიღება ძველ ადგილზე.

—

თფილისში დღიურმა მუშებმა, რომელნიც სახლის შენებასა და სხვა საქმეებზე მუშაობენ, ეს მეორე დღეა შეწყვიტეს მუშაობა და მოითხოვეს დღიურ ფასათ 80 კაპ.

—

21 მარტს, დილის 6 საათზე, თფილისში ათასამდე დღიურმა მუშამ პირი შეჰკრა, არ გაყვენ მოიჯარადრეებს სამუშაოთ, სანამ ფასს არ მოუმატებენ.

—

12 მარტს, საღამოს 6 საათზე, ყვირილაში, სადგურის ახლო, რევოლვერით მძიმეთ დაჭრიათ დეპოს უფროსის თანაშემწე ვიაჩესლავ ბლოკი. დაჭრილი ტფილისის რკინის გზის საავათმყოფოში გაგზავნეს. დამნაშავენი ვერ ამოაჩინეს.

—

ამ დღეებში დ. ონიდან გუბერნატორმა გამოიწვია იქაური მაზრის უფროსი შიტგაუერი, რაჟაში დაწყებულ მოძრაობის ამბების გამოსაკითხათ. მოახსენა თუ არა გუბერნატორს ყველაფერი, შიტგაუერი 17 მარტს, ისევ გაბრუნდა ონში, და ტელეგრაფით ყაზახ-რუსების ჯარი დაუბარებია.

—

თფილისში გაიფიცენ ქვისა, აგურისა, მიწის მზიდველნი და სხვა მუშები. ეს მუშები დღიურ სამუშაოს ფასის მომატებას თხოულობენ.

—

ამ დღეებში ქუთაისში ჩასულა თავად-აზნაურთა კრებებზე დასასწრებლათ რაჭის მაზრის წინამძღოლი თ-დი დიმიტრი ყიფიანი. დღევანდელ მოძრაობას რაჭაშიაც უჩენია თავი. იქაც შემოუვლია „ახალთაობას“, როგორც დღეს იმერეთში ამ მოძრაობის მიმდევართ ეძახიან. აი ამ მოძრაობას გაუტაცნია თავადი წინამძღოლი, უარი უთქვამს ყოველსავე თავის ქონებაზე, გადაუცია იგი გლეხებისათვის და საბუთებიც დაუხევია.

—

ამ რამდენიმე დღის წინეთ გაიფიცენ და მუშაობას თავი დაანებეს თფილისში ლუდის 4 ქარხანის ყველა მუშებმა. მათი მოთხოვნილებანი: 1) 8 საათის სამუშაო დღე, 2) ჯამაგირების მინიმუმი—20 მან. თვეში და ვინც 20 მანეთზე მეტს იღებს, ხუთ-ხუთი მანეთის მომატება, 3) სადგომების ჰიგიენური მოწყობა, 4) ცოლშვილიან მუშებისთვის ცალკე სადგომები, 5) კვირა-უქმე დღეს მუშაობიდან გათავისუფლება, 6) ავათმყოფობის დროს ერთი თვის განმავლობაში ჯამაგირის ძლევა და სხვა.

—

21 მარტს გაიფიცენ მნაცაკან მარტირუზიანცის სტამბის მომუშავენი. გაფიცვა ერთა მუშის დათხოვნამ გამოიწვია. მუშები დათხოვნილ ამხანაგის უკან მიღებას თხოულობენ.

—

რკინის გზის მე-13 ნაწილის რემონტის მუშათა გაფიცვა თანდათან უფრო მწვავდება. კარაკლისსა და სანაინს შორის ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია.

—

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-14 ნაწილის უფროსი ინჟენერი კრაკოვსკი დეპეშით ატყობინებს რკინის გზის გამ-

გეობას: 21 მარტს რემონტის მუშები და გზის დარაჯნი გაიფიცენ და მუშაობაზე ხელი აიღეს, რკინის გზის ლიანდაგი უპატრონოთ დარჩაო.

—

ალავერდის სპილენძის ქარხანაში მუშაობს 2,000-მდე სპარსეთის ქვეშევრდომი; სპარსელი მუშები გაფიცულან და უწესოებაც მოუხდენიათ. ქარხნის ადმინისტრაციას თფილისში მყოფ სპარსეთის ელჩისათვის თხოვნით მიუმართავს,— იღონეთ რამე თქვენს თანამემამულეთა დასაწყნარებლათაო. ამავე, თხოვნით ".ტფ. გუბერნატორისათვის მიუმართავთ, ჯარი გამოგვიგზავნეთ ქარხნის დასაცავათაო. ელჩმა ადგილობრივ გაგზავნა თავისი მდივანი, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოიკვლიოს სპარსელ მუშათა საჭიროებანი და ღონისძიება მიიღოს მათ დასაკმაყოფილებლათ. გუბერნატორმა კი ქარხნის დასაცველათ ჯარის გაგზავნა საჭიროთ არ დაინახა.

—

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: ,,შილლერის ზოგჯის ძირითადი თვისებები'' ექ. ივ. გომართელი, მეორე გამოცემა მუშისა (№ 2), შილლერის სურათით. ფასი 20 კაპ.

კორრესპონდენცია

გორი. (ნახულია და გაგონილი)

ჯერ 13 მარტსვე იძახოდენ: ხვალ გორელებმა რამდენიმე ბიჭს უნდა წაართვან ძალათ დაჩემებული ქალაქის მამულებიო. მართლაც და მეორე დღეს, 14 მარტს დიდა ადრიან აუარებელი ბრბო გაემართა ამიროვის მამულისაკენ. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ განსვენებულ მირონ ამიროვს, არა თუ ქალაქი, არამედ ბევრი კერძო ბიჭიც (გაიხსენეთ განსვენებული ქართული დრამატურგი ანტონოვი) დაურბევია და უმოწყალოთ გაუქცევია, რის გამო ყველა წუეწყლა-ქოლვით იხსენიებს. ამისთვის მამულში ხალხმა დაჰკრა რამდენიმე თუმნის თივა, გაათუჭა ხეხილები, ვაზები და დობე. ასეთივე დღე დაუყენეს დვედოვის ბაღს. ასევე უბირებდენ გოლა ამირადოვსაც, მაგრამ არ დაცალდათ. მარგილებით ხელში ხალხი გამობრუნდა და გზა და გზა ჩადგა ფანჯრები ტუცა ამირატოვის სახლში (ეს უკანასკნელიც თურმე არბევდა «გარეთ უბნელებს»), სემინარიაში, რადგან აქ არ შეუწევიათ სწავლა. შემდეგ ხალხი გაემართა სახლებისკენ, სადაც დაუხვდათ ზოლიცია და „სტრაჟნიკები". ხალხმა «გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთობას»—ძახილით წითელი დროშა აუშვა. ზოლიციის თხოვნით და დაბერებით—ხელს არ გახლებო, ხმას არ გაგცემთ, ოღონდ დაიშალენითო—ხალხი დაიშალა და ჯგუფ-ჯგუფათ შინისკენ წავიდა. ერთ ჯგუფს, რომელიც არტილერიის მოედნისკენ გაემართა, უცბათ სალდათების «ბატრული» დახვდა. ამ უკანასკნელმა ჯერ გზა მისცა ხალხს. მერე, სრულებით უმიზეზოთ, ზურგიდან თოფები დაახალა. ასე თუ ისე, მოკლეს უსუხური ბავშო და დასჭრეს ოცამდე კაცი. ზოლიცია და გამომძიებელი მოვიდოდენ, დაჭრილები თავის სალდათების ამარა ეყარენ ქუჩაში, სისხლიდან დაიცალენ და ღრიალებდენ:—«ვინა ხართ, ქრისტიანები, გვიშველეთო», რაზედაც სალდათები თოფების კონდახების ცემით უპასუხებდენ და საშველათ არავის უშვებდენ. ბევრი მოქალაქე, სახალხო სურათს ფანჯრებიდან უცქერდა, სულით-გულით უნდოდა მიშველებოდა და სისხლი შეეწუვიტა დაშავებულებისთვის, მაგრამ სალდათები თოფების ქნევით ეგულებს აშინებდენ. ბოლოს როგორც იქნა (ნახევარ საათს უკან) მოახერხა ზოლიციამ, მაზრის უმფროსმა ფაიტონით ჩაისეირნა და აისეირნა... დაყარეს ფიცრებზე დაჭრილები, მკვდარი და სულთმობძავები და წაიყვანეს საავთმყოფოში, სადაც მეორე და შესამე დღეს სამმა დაჭრილმა სული განუტევა. ამათთვის რომ დროზე ეშველათ, ნახევარ საათი რო ესენი უმოწყალოთ წუმზობებში არ ეროდიყვენ და სისხლიდან არ დაცარიელებულიყვენ უთუოთ მორჩებოდენ. დამსვენდა იმის თქმა, რომ გამოჩნდა თუ არა ზოლიცია, ზოგიერთი მოქალაქენიც მივიდენ ამ საზარელ სურათის სანახავათ. ერთი ინტელიგენტი მივიდა სალდათებთან და საყვედურათ უთხრა—ამ ბავშის რადა დაგიშავათო. სალდათებმა სიცილით უპასუხეს—ეს ბატარა ხვალ დიდი გახდება და უარესს იზამსო? რაც ინტელიგენტმა კიდევ განაგრძო შერცხვენა, ერთმა სტრაჟნიკმა მათრახი უცხუნა. ბავშვის საწყალი დედა მოვარდა, მან ჯერ არ იცოდა, რომ შვილი მოუკლეს და სალდათებს კითხვიდა, ჩემი შვილი ხომ არ გინახავთო? სალდათებმა და სტრაჟნიკებმა სიცილით უპასუხეს: ,,შენი შვილი აქ გაფრინდა'' და მიდდა აიშვერეს ხელი. ერთი სიტყვით, ისეთი სახიზღრობა და ბირუტყვობა ხდებოდა, რომ კალამი ვერ აწერს და ენა ვერ გამოთქვამს! მძიმე დაჭრილებში მოყოლია ერთი ჯარუშიც. მას უველა ძაგებს—სახიზღარი კაცი იყო, ტოლსაც კი ჭირავით ეჯავრებოდა. რაცა ის მოკვდა, ზოლიციას დიდის ამბით უნდოდა მისი დამარხვა, მაგრამ დვდელმა უარი განაცხადა მის გასვენებაზე, მეკუბემ კუბო არ მიცა ამქარმა და მედროგემაც კი არ გაიტანესო. ასე რომ სალდათებმა წაიღეს კუბო სასაფლაოზე. დანარჩენი მკვდრები კი ნაცრებულმა ხალხმა, ქალმა და კაცმა დიდის ამბით: გვირგვინებით და ,,რეჭებით'' გააცილეს, თუმცა ზოლიცია, დაბერებისამებრ, არ მიკარებია, მაგრამ წესი სუფევდა. მაზრის უფროსი ასი უაზახით აბძანდა ციხეზე და იქიდან დურბინდით ხალხს თვალიერებდა.

გორელი.

რუსეთის ქრონიკა

რუსეთის სამრეწველოებში მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოწვეულმა კომისიამ, ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით, 15 მარტს დაიწყო მოქმედება.

მოკლე სიტყვაში კომისიის თავმჯდომარემ ანუსხა გასარჩევათ დანიშნული კითხვები და წინადადება მიცა კომისიას დასახელებულ კითხვებზე მსჯელობას შესდგომოდა. ერთმა წევრთაგანმა მოითხოვა ბირველი კითხვა უოფილიეო მუშათა ორგანიზაციების შესახებ, როგორც უმეტესი ყურადღების დარსი, მაგრამ ეს წინადადება უმრავლესობამ უარ ყო. ამ გვარათ ბირველათ განიხილეს საკითხი მწარმოებელთა დასწრების შესახებ და სასურველათ ცნეს კომისიაში მათი მონაწილეობა. ამ მიზნით გადაწყდა მოიწვიონ წარმომადგენლნი: ყველა სვაკრო და სამანუფაქტურო კომიტეტებიდან, აგრეთვე ბირეის კომიტეტებიდან. სამხრეთ რუსეთის, ურალის და ზოლშის სამთო მრეწველობის სამბჭოებიდან; რკინის მექარხნეთა და ოქროს მწარმოებელთა კანტორებიდან; ბაქოს ნავთის მწარმოებელთა, შაქრის მექარხნეთა, ლუდის მხდელთა და სხვა მსხვილ საწარმოო დაწესებულებათაგან, თითოდან ორ-ორი წარმომადგენელი, თვით მრეწველთა მიერ თავიანთ შორის ამორჩეული. მხოლოთ მოსკოვისა და ბეტერბურგის კომიტეტთაგან მიიდებენ ოთხ-ოთხ წარმომადგენლებს. რაც შეეხება ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლებს, კომისიამ საჭიროთ ცნა მათი დახმარება კერძოთ ამ დროს, როდესაც გასახილველი იქნება საკანი მუშათა ჯანმრთელობის შესახებ. ამიტომ გადაწყვიტა მოიწვიოს თითო წარმომადგენელი: 10 უეზრო სამრეწველო გუბერნიიდან და აგრეთვე თითო წარმომადგენლნი: ბეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ადესიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, რიგიდან და ვარშავიდან.

შემდეგ კომისიას ქონდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოიეწვანონ სისრულეში 20 თებერვალს მინისტრთა კომიტეტის მიერ დადგენილი მუხლი: მუშათა რჩევით ხელმძღვანელობა ხსენებული კანონების შემუშავების დროს. ამ კითხვამ გაცხარებული კამათი გამოიწვია. სამრეწველო განეოფილებამ საჭიროთ ცნო:

უკვე დამუშავებული განონები დაიბეჭდოს მთავრობისა და თვინერთა უწყებაში. გამოიცეს ცალკე ათც წიგნათ და საქართველო ინსპექტორებს სამუშაოებათ გავრცელდეს მუშებში. მუშები გაეცნობიანო და შემდეგ თავის აზრს აცნობებენ კომისიას ან წერილობით, ან სიტყვიერათ ინსპექტორების სამუალებით. კომისიამ ეს რჩევა უკუ აგდო.

—

როგორც მკითხველი ხედავს, კოკოვცევის კომისია ძალიერ შორს არის მუშათა ინტერესებისაგან. იმ კომისიაში, რომელიც მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შრომობს, არ არის წარმომადგენელი მუშათ ინტერესებისა, იქ არა თუ მუშების წარმომადგენლნი არ არიან, წარმოიდგინეთ, რომ მსხვილ მწარმოებელთაგან შემდგარმა კომისიამ იმათი აზრის გაგებაც კი არ მოისურვა.

ზემოთ მოყვანილი მასალების დასამტკიცებლათ საკმარისია მკითხველების გავაცნოთ კომისიის წევრის შიდლოვსკის აზრი. ბ-ნი შიდლოვსკი ბძანებს: ,,რუსეთის მუშათა მოძრაობას არა აქვს უკონომიური ბრძოლის ხასიათი, ხელებული კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათო. ჩემი აზრით, დღევანდელი წეს-წყობილების მტერი მუშათა მცირე რაიცხვია, თავისი მიზნის მისაღწევათ სრულებობს მთელი მუშა ხალხით, სხვათრივ მათ მღელვარებას მუშათა კეთილსათვის არაფერი საერთო არა აქვს. ამიტომ კომისიისათვის სრულიად საკმარო არ არის მუშების შეხედულობითა და აზრით ხელმძღვანელობა. ახლო წარსულმა დაგვიმტკიცა, რომ მუშების წარმომადგენლების შემოღება შეუძლებელი საქმეა. ის ბრძოლა, რომელიც მათ მღელვარებას ხელს უწყობს, ისარგებლებს ამ შემთხვევით და მთელი მუშათა კლასის სახელით თავის მოთხოვნილებას წარმოადგენს. მთავრობას კი ახლა სჭირია მთელი თავისი სიმტკიცისა და შეუდრეკლობის გამოჩენა; ახლა რომ დამყარდეს საყოველთაო სიწყნარე და მეცნიერება".

ამ ნაირათ, შიდლოვსკის აზრით, რუსეთის მუშათა მოძრაობა არის მცირე ჯგუფისაგან მთელ მუშა კლასზე ძალით მოხვეული. მოძრაობა, რომელსაც მუშათა ეკონომიურ ინტერესებთან არაფერი საერთო არა აქვსო. ეს თითქმის იგივეა, რასაც ამ ერთი თვის წინათ სამდივლოება და პოლიცია ავრცელებდა: რუსეთის მუშათა მოძრაობა ინგლისელებისა და იაპონელებისაგან მოყიდულმა აგენტებმა გამოიწვიესო. ეკელას თავისი აზრი და შეხედულება აქვს, მარა სანამდეიდე უთუოთ მაღე დაინახვებს ეკელას, რომ რუსეთის მუშა შეეწინააღმდეგა და თავ-განმოდებით იბრძვის თავისი კონომიური და პოლიტიკური ცხოვრების განსამტკიცებლათ. („რ. ვ.")

—

11 მარტს პეტერბურგში შედგა იურიდიული სიზოგადოების კრება. კრების მრავალის უმრავლესი ხალხი დასწერა. ეკელაზე წინ გესლენმა წარმოთქვა სიტყვა.

გესლენმა, სხვათა შორის, თქვა, რომ ისეთ დროს, როცა რუსეთის სიზოგადოებამ ორი დიდი მიზანი უნდა განსორციელოს: 1, შემოიგდაჯოს ძველი რეჟიმის ქარქა და 2, ხაშენოს სხვადა ცხოვრების სიძარკვეები,—იურიდიულ სიზოგადოებას ნება არა აქვს ხელი დაიკრიფოს და ბაღე დაიტოს, მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სიზოგადო საქმეებშიო და სხვა...

კრება შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

საჭიროა დამფუძნებელი კრება, დამყარებული საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირსა და თანასწორ გენების ერიზე. ახლა კი, სანამ დამფუძნებელი კრება მოხდებოდეს, აუცილებლად საჭიროა პირობების შეიქმნების უზრუნველყოფა, პეტიციის და სიტყვის თავისუფლება. თავისუფლება კრებათა, რომლებზედაც უნდა გაისჯოს პროგრამა და ხდებოდეს დავა შესახებ მომავალ არჩევნებისა. საჭიროა აუცილებლივ განთავისუფლება იმ დამნაშავეთა, რომელთაც პოლიტიკური ცხოვრების განსამტკიცებლათ. („რ. ვ.")

—

6 მარტს ვილნის სასამართლოში იწყებოდა მატიდა ზაცევიჩის და ბუკატარის საქმე. ნათვმა მსჯავლებმა ბრალდებულები გაანთავისუფლეს და სამსჯავროს თავმჯდომარემ გამოუცხადა უკანასკნელთ რეზოლუცია და უთხრა ამდგარიყვნენ დამნაშავის სკამიდან. ამ დროს წამოდგა ზუბლიკიდან ერთი ოფიცერი და დაიძახა:

,,მე კონვოის უფროსი ვარ... არ გვსურდეს თავმჯდომარის განკარგულებას და ტუსაღები ისევ სახელოსნოში დავაბრუნე."

თავმჯდომარემ მიუთითა ოფიცერ დიდებას კანონის 819 მუხლი, რომლის ძალითაც ნათქვ მსჯავლთა მიერ უდანაშაულოთ ცნობილი პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს დარჯებისაგან. მარა კაპიტანმა დიდებამ განაცხადა: ჩემთვის სავალდებულოა მხოლოთ ჩემი მთავრობის ბძანება. კაპიტანს ოქმი შეუდგინეს. დამსწრე საზოგადოება ძლიერ აღელდა ამ ამბავმა მით უმეტეს, რომ ბრალდებული პატიციები ჯგუთ იყო.

—

,,ბერლინ. ტაგ."-ის პეტერბურგელ კორესპონდენტს უბაასნია ფინანსთა მინისტრთან შესახებ რუსეთ-იაპონიის ომისა. კოკოვცევს უთქვამს: ომის გაგრძობას ჩვენ ფინანსიური მდგომარეობა ვერ დაგვიშლისო. გაზეთები კალბ ცნობებს წერენ რუსეთის ფინანსების შესახებო. მაგ. ,,ტაიმსში" დიდხანს ვოლთი ამტკიცებდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკის ვალდებულება ტოტალი აღემატება ტერრეზა ემბერის ცნობილი უთხისს, რომელიც ცდილია გამოდგა, როცა გატეხესო. მე ტელეგრამითაც მოვიწვიე ვოლთი, რათა პირდაპირ მეჩვენებია მისთვის ჩვენი ოქროები, მარა ვოლთი არ მოვიდა. ამ ჟამად, როგორც ამ მოხსენებიდან ხედავთ, ჩვენი ოქროების ფასი შეადგენს 900 მილიონზე მეტსო.

ეს უკანასკნელი კარგი, მარა, რათ იფიქრებს ბ-ნი კოკოვცევი, რომ ამ 900 მილიონის უნდა დაუკრას 900 მილიონისავე კრედიტის ბალეოებიო, დაძენს ,,ბერლ. ტაგ."-ის კორესპონდენტი.

—

მაქსიმ გორკის ბრალს დებენ მთავრობის საწინააღმდეგო შენაწერის მოწოდების შედგენაში. ამ მოწოდებაში ხელი 9 იანვრის შეტაკება მუშების და ჯარისა ვეტერბურგში. მ. გორკი უარს არ ეთქვა მოწოდების შედგენაზე. ბევრს, თურმე, უკვირს, როგორ მოხდა, რომ გორკის განსთავისუფლებელი სათვალებო ფული 10000 მანათი ცნობილმა კაპიტალისტმა მორაზოვმა შეეტანაო, რადგან ამბობენ, ეითომ, ითხოვ მწერალს დიდი სამდიდრე ქონდეს თავის ნაწერების წაკითხებით. ამაზე შესახებ გორკის დამცველი მექალი გრუზენბერგი ამბობს: მართალია, გორკის ბევრ ფულს ანძევენ ნაწერებში, მარა თითონ მას არაფერი არ რჩება, რადგან მთელ თავის სანაცვლებელს სჭეველ-მოქმედო და სასიკეთო საქმეების წარავსო. ცხინვში ეთქვას ძალიან ცუდი გაკვეთა მოუხდენია გორკის წლეულიან ორგანიზმზე.

—

განათლების მინისტრი, კალაზოვი ამ ზრისაა რომ თუ მაინცა და მაინც სასწავლებლების გახსნა არ მოსერხდება, სულირად გაზამენეა მაინც მოსალთხოთ. ამ ზრის წინ ალუდგენ ბევრი უმაღლეს მოხელეთაგანი, განსაკუთრებით ერმოლოვი და ხილკოვი. უკანასკნელს უთქვამს, რომ გასული წლების მწარე გამოცდილებამ საკმაოთ დაგვიმტკიცა ასეთი ზომების უკარგისობა და ახლა მაინც უნდა ვეცადოთ კვლავ ადრ ჩავედინოთ ასეთი შეცდომა. ვიტტეს თქვა, რომ პოლიციური წესწყობა არც ისე მძრტეგია, როგორც ბევრს გონია, მისი მიზეზები შიგ სასწავლებელთა კედლებში რიდა უნდა ვეძებოთ, მიზეზები დრმა, რთული ხასიათისაა, სწორედ ისეთის, როგორისაც სიზოგადოთ რუსეთის მდგომარეობაა. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია პოლიციური საკითხი გამოვცალკეოთ, ეს შეცდომა იქნება და არა სასურველ ბოლოს მოიტანსო.

თავმოყვარეობა

მოთხრობა პოტაპენკოსი (თარგმნილი რუსულიდან).

ძალიან კოხტა და მოხდენილი ახალგაზდა კაცი იყო კალტუხინი, როდესაც ის სტუდენტათ შევიდა უნივერსიტეტში—მხიარული, სუფთათ და შნოიანათ ჩაცმული. მამა მისს კაი ალაგი ეკავა ქალაქის საბჭოში, და ამიტომ ფული მუდამ გამოულეველი ჰქონდა მას; ბუნებით-კეთილი და შემბრალე ყოველთვის მზად იყო იგი დახმარებოდა ხელმოკლე და გაჭირვებაში მყოფ ამხანაგებს.—მაკრამ გავიდა ექვსიოდე თვე მის სტუდენტათ შესვლის შემდეგ და მისს მამას რაღაც ისეთი ამბავი დაატყდა თავს, რომ სამსახურიც დაკარგა, პატარა ქონებაც, და თვითონაც სამართალში იქნა მიცემული. რა ისტორია იყო ეს—არავინ არ იცოდა, მაგრამ რაღაც ბნელი და საეჭვო კი უნდა ყოფილიყო, იქიდან დაწყებული კალტუხინი გალატაკდა და საქმის გამობრუნება ვეღარ მოახერხა.

სხვა ვინმე ასეთ შემთხვევაში რამეს მოაკვარებდა, მაგრამ კალტუხინი ბავშობიდან სათუთათ იყო ნაზარდი, გასაჭირს შეუჩვეველი და, როცა უბედურება უეცრივ ეწვია, დაიბნა, დაიფანტა და მამაცურათ ვერ შეებრძოლა უკულმართობას. მაინც ამ დღიდან თითქოს ბედმა ზურგი შეაქცია. ეს ხომ საზოგადოთაც ასეა: ერთხელ თუ კაცმა მაგრათ წაიკრა ფეხი, მერე წელში გასწორება ძლიერ გაუჭირდება,—ერთს უბედურებას მეორე და მესამეც თან მოდევს. კალტუხინის წინააღმდეგ თითქო ყველაფერმა პირი შეკრა. მას არც ნიჭი კლებია, არც ცოდნა და შრომაც შეეძლო, მაგრამ აიღებდა გაკვეთილებს თუ არა, არ გაეიდოდა ორი კვირაც, რომ შეგირდების მშობლები უკმაყოფილონი რჩებოდნენ ახალი რეპეტიტორით, რადგანაც მათი შვილები წინ წასვლის ნაცვლათ სულ ერთებსა და ორებს ღებულობდენ, თითქოს კალტუხინის უილბლობა მათზედაც გადადიოდა.

დიდი ჰაბანწყვეტა გადაიტანა კალტუხინმა და, როგორც იყო, მესამე კურსამდე მიაწია. ვერ წარმოიდგენთ ამ ხნის განმავლობაში როგორ შეიცვალა იგი.

ის მაღალტანიანი მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ჰაბუკი, რბილისა და სიმპატიური ქცევისა და მიხვრა-მოხვრისა, ახლა სულერთიან გახუნებული და გაცრეცილი იყო სხეულითაც და სამოსლითაც; ჩამოხმარიყო და დამღრალიყო მისი წინეთ მალხაზი სახე, რომელსაც ახლა მწვანე ფერი ედო. მთელ მის აგებულებას მოუხეშაობა და უშნოობა ემჩნეოდა; თვალები არეულათ და ბრაზიანათ გამოიყურებოდენ. უსაგნო ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა ცხოვრებაში, სავსებით ეხატებოდა სახეზე კალტუხინს.

რა თქმა უნდა, ამხანაგებში შიმშილით არ მოკვდებოდა: ერთ მანეთს ერთს გამოართმევდა, ორს—მეორეს; ერთისას დღეს ისადილებდა და ღამესაც გაათევდა, მეორისას ხვალ და ასე სულ. ყველას არ ესიამოვნებოდა ეს, ვიწროთიას გრძნობდენ, მაგრამ შეჩვეოდენ და ითმენდენ.

ვის არ ეწვევა ხანდახან გასაჭირი, ვინ არ მიმართავს ამხანაგებს შველისათვის! მაგრამ კალტუხინის ცხოვრებაში ეს დაუსრულებელი შეიქნა: მას მუდამ დღე ესაჭიროებოდა ამხანაგების დახმარება. თვითონ ბრალი არ ედო თავის ასეთ უბედურებაში, და საკადრისი და შესაბრალისიც იყო იგი ამ უსიამოვნო როლში. ყველას კარგათ ესმოდა ეს, მაგრამ ყველანი ვერ იყვენ მორიდებულნი და ფრთხილნი, რომ დახმარების მოწოდებასთან ერთათ არ გაექელათ მისი თავმოყვარეობა; აჭმევდენ, ბინას და ფულს აძლევდენ გარეგნულათ და ამ დროს გულში ეზიზღებოდათ, სძაგდათ საწყალი ამხანაგი, რომლის შემოსვლა ოთახში უსიამოვნებას იწვევდა მათში, ერთი სიტყვით, ბევრი ამხანაგის მისდამი მოქცევაში დამალული ზიზღი გამოსჩვივოდა. ზოგი, როცა დაინახავდა კალტუხინის დაღონებულ სახეს, მოურიდებლად მიაძახებდა:

— აბა, კალტუხინ, რამდინი მოგცე? დაცინვის კილოთი კითხავდენ დარჩებ ამხანაგს.

ყოველ ასეთ შემთხვევაში კალტუხინი სევდიან თვალებს მიაპყრობდა ამხანაგს და უსიტყვოთ გაშორდებოდა. მაგრამ ამის შემდეგაც უნდა ეთხოვნა, ისე ცხოვრება მას არ შეეძლო. თავმოყვარეობა დიდი ქონდა კალტუხინს, რომ გულგრილათ ეცქირა თავის ასეთი დამცირებისათვის, მაგრამ ხასიათის სიმაგრეც დიდი ქონდა, რომ უკვე გარკვეული მიზნის მისაღწევათ ეთმინა ასეთი მძიმე მდგომარეობა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რაოდაც უნდა დაჯდომოდა, გაეთავებია უნივერსიტეტი და ამიტომ წერავდა ასეთს სხვერპლს, შეგნებულათ იტანდა ამდენ დაცინვას და შეურაცხებას. მაზე ის აზრი შეადგინეს, რომ უნიჭო, უხასიათო და უტაქტოაო; მაგრამ ეს არ იყო სიმართლე. სიმართლე ის იყო, რომ ბედი არ წყალობდა და საქმეები ცუდათ მიუდიოდა.

პროფესორებმა და უნივერსიტეტის მთავრობამაც შეიძულეს კალტუხინი. თვე ისე არ გავიდოდა, რომ კალტუხინს თხოვნა არ მიეცა რექტორისათვის ერთდროებითი დახმარების მისაღებათ. წინეთ აძლევდენ ხან თუმანს, ხან ხუთმეტ მანეთს, ბოლოს კი აღარ მისცეს. სტიპენდიასაც ვერ ეღირსა, რადგანაც წარმატებაში ცუდი ნიშნები ქონდა.

შესახედავათ კალტუხინი წუნარი ზნისა იყო: არასოდეს ამხანაგებს არ ეჩხუბებოდა, მაგრამ დაახლოებულ კავშირსაც არავისთან იჭერდა. სცადა დაახლოებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ როგორც კი შეამჩნევდა ვეზიზღებით, მაშინვე გაშორდებოდა და მერე არასოდეს აღარ მიეკარებოდა. მხოლოთ ერთ ამხანაგთან—სმუროვთან იყო ის ცოტათ თუ ბევრათ დაახლოვებული, და ისიც იმიტომ, რომ ორივენი ერთი ქალაქიდან და ერთი გიმნაზიიდან იყვენ.

სმუროვმა იცოდა კალტუხინის თავგადასავალი და ეცოდებოდა იგი, მაგრამ არ შეეძლო დახმარებოდა, რადგანაც თვითონაც ღარიბი იყო. მაგრამ თვითონ სმუროვმაც კი არ იცოდა ის, რა ამბავიც ხდებოდა კალტუხინის სულსა და გულში. იქ კი საშინელი ჭრილობა იყო დაჩაგრული თავმოყვარეობისა, ეს ჭრილობა დღითი დღე იზრდებოდა და იქამდის მივიდა, რომ კალტუხინი მას ვეღარ ერეოდა და გარეთაც უნდა გამოჩენილიყო.

ამას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. აი რა იყო ეს გარემოება.

კალტუხინი სხვებზე უფრო მეტათ სიდილობდა და ღამესაც ათევდა ერთ ამხანაგთან, რომელიც—თუმცა მისთვის არ უთქვამს,—კალტუხინის ფიქრით, სხვებზე უფრო სულგრძელი და კეთილშობილი ბუნების უნდა ყოფილიყო, ისეთი ბუნების, რომელიც ლუკმა პურისათვის მას არ ჩაწიხლავდა.

ერთ შაბათ სალამოს, ჩაის შემდეგ, კალტუხინი გამოვიდა ამ ამხანაგის ოთახიდან, ჩაიცვა თავისი გახუნებული პალტო, რომელიც იქვე კარიდორში ეკონწიალა და გასწია სადღაც.

ორშაბადს რომ ხელახლა დაბრუნდა კალტუხინი ამ ამხანაგისას, ამ უკანასკნელმა რაღაც მკვახეთ და დაბეჯითებით უთხრა:

— კალტუხინ, შაბათ სადამოს მე პალტო მომპარეს, უთუოთ შენ წაიღებდი და დღესვე მომიტანე! გესმის?

კალტუხინი რაღაც მისთვის უცნობმა შიშმა შეიპყრა, დაიბნა, გონება ვერ მოეკრიფა, სმენას არ უჯერებდა და თავისთვის ბუტბუტებდა: ნუ თუ? ნუ თუ?... მერე მიუბრუნდა ამხანაგს და დამშვიდებულათ უთხრა:

— პალტო ჩემი წავიღე და არა შენი! ან რათ მინდოდა მე შენი პალტო?

— შენ პალტო არა გაქვს თავისი, რომ წაგიღია, ის ჩემია და მოიტანე!

— მოვიტან!—უთხრა კალტუხინმა და გასწია. ერთი საათის შემდეგ კალტუხინი მოვიდა ამხანაგისას თავის პალტოში ჩაცმული და გაჩერდა ფანჯრის პირდაპირ, რომელშიც ამხანაგი იყო გადმოწოლილი.

— აი ეს პალტო წავიღე, თქვა კალტუხინმა, ეს შენი არ არის.

შემთხვევით იქვე ამ სცენას დაესწრო მეორე ამხანაგი, რომელიც დაელაპარაკა პირველს:

— გაყიდა ალბათ, ან დააგირავა! და მიიხურეს ფანჯარა. კალტუხინი ტყვიანაკრავსავით გამოიქცა და ისე გაიარა რამოდენიმე ქუჩა, რომ არაფერი არ ესმოდა, თითქოს ბურანში იყო. გაიძახოდა:

— ეს მეტის-მეტია, მეტის-მეტი!!

ამის შემდეგ ისე გავიდა ზედიზედ რამოდენიმე დღე, რომ კალტუხინს არც არავისთვის ფული უთხოვნია და არც არავისთან უსადილია; ეს ყველამ შეამჩნია, და ყველა გაკვირებული იყო. ის ჩვეულებრივათ მოდიოდა უნივერსტეტში, ისმენდა ლექციებს და ბრუნდებოდა სახლში; თავისი ჩვეულებრივი ყოფაქცევა არაფრით არ შეუცვლია.

— ალბათ საქმე რამე იშოვნე, კალტუხინ? ეკითხებოდენ ამხანაგები.

—ჰო, ვიშოვნე! მოკლეთ და მოჭრით მიუგებდა კალტუხინი

— გაკვეთილია?

— ჰო, გაკვეთილია

— კარგია?

— არა უშავს... შეიძლება ცხოვრება...

ცხადი იყო, მას არ უნდოდა სიმართლე ეთქვა ამხანაგებისთვის თავის მდგომარეობის შესახებ. რასაკვირველია, ასეთი უეცარი ცვლილება ამხანაგისა არ დარჩა შეუმჩნეველი სმუროვს.

— კალტუხინ, მართლა იშოვნე გაკვეთილი? კითხა მან ერთხელ ამხანაგს.

— განა ეს ასე შეუძლებელი იყო? უთხრა კალტუხინმა სრულიათ უსიამოვნოთ.

— არა, ვინ ამბობს; ძალიან მოხარული ვარ, რომ ბოლოს მაინც აიჩინე საქმე, დიდი ხანია ვერ ახერხებდი.

— ახლა მოხერხდა და ესაა!

— სად! ვისთან?

— განა სულ ერთი არ არის, ვისთანაც უნდა იყოს?

— საკვირველია, რომ ესეც საიდუმლო ყოფილა. უკაცრავათ.

— საიდუმლო კი არაა, მარა რა არის აქ საინტერესო? გაკვეთილი—გაკვეთილია... ისე, ერთ ოჯახში.., მოხელისას.

— სადილითაც?

— ჰო, სადილითაც...

— მადლობა ღმერთს... მე ძალიან მიხარიან შენ მაგიერ.

— ... გმადლობ..

სმუროვმა უამბო ამხანაგებს. რომ კალტუხინმა გაკვეთილი იშოვნა, აქვს ბინაცა და სადილიც. ყველას გაუხარდა, რადგანაც შემდეგ აღარავის შეაწუხებდა. მალე შეამჩნევდით, რომ ამხანაგებს შორის თან და თან ქრებოდა წინანდელი ზიზღი კალტუხინის მიმართ, დამოკიდებულება უკეთესდებოდა. ეს როგორღაც თავის თავათ, შეუმჩნეველათ ხდებოდა. საძაგელი თვისებაა ეს ადამიანის ბუნებისა: უნებლიეთ პატივცემით ეპყრობი ბედნიერს და უბედურს ზიზღით. მოისპო მისი თხოვნები რექტორის მიმართ. ის ახლა აღარ თხოვდა მას შემწეობას. ერთი სიტყვით, ეგონათ ამხანაგებს, კალტუხინი დადგა გზაზე, წელში გაიმართა და ყველანი ივიწყებდენ, რომ წინეთ ის თავს აბეზრებდა მათ. გავიდა ერთი თვე და ერთ დღეს სმუროვმა კითხა კალტუხინს.

— ჩემი ნემეცური ლექსიკონი ხომ შენ გაქვს, კალტუხინ?

— ჰო, მე მაქვს..

— დღეს ძალიან მესაჭიროება ოთხ საათზე.

— დღეს? ოთხ საათზე მოგიტან.

— შენ რათ წუხდები! მე თვითონ შემოვიყლი შენთან და წამოვიღებ. შენ მხოლოთ შენი ადრესი მითხარი.

— ადრესი? არა, რისთვის? მე არ მიჭირს მოტანა... მე მოგიტან.

— ისეთაც მინდა ხან და ხან შენთან შემოვლა; საიდუმლო ხომ არ არის შენი ადრესი?

— ადრესი საიდუმლო რანაირათ შეიძლება იყოს? მაგრამ ისე.. არაა მოხერხებული.. ჩემი მასპინძლები რაღაც მიუკარებელი, მძიმე ხალხია. ჩემ ოთახში ისე ვერ შემოხვალ, თუ სასადილო ოთახში არ გაივლი და ეს მათ წყინთ, ხომ გესმის, ახირებული ხალხია!..

თუმცა სმუროვი ატყობდა, რომ ამხანაგის ლაპარაკში რაღაც ყალბი კილო იყო, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე. კალტუხინმა თავისი დაპირება სწორეთ შეასრულა: ოთხ საათზე მიუტანა ლექსიკონი.

გავიდა კიდევ ორი კვირა. კალტუხინი ჩვეულებრივათ დადიოდა ლექციებზე: მაგრამ მის სახეს დააჩდა რაღაც დაღლილობის ნიშნები. გახდა, ლოყები ჩაუცვივდა და თვალები აენთენ.

— ავათ ხომ არა ხარ?— კითხავდენ მას ამხანაგები,— რაღაც ფერი არ გაძევს კარგი.

— რით არ არის კარგი?—წარბების მოჭმუხვნით მიუგებდა კალტუხინი. ჩვეულებრივი ფეოია, მხოლოთ წუხელ ძილი მიმაკლდა, ლაპარაკს შევყევი.

მაგრამ სმუროვს ეს არ აკმაყოფილებდა, კალტუხინის საქციელი, საზოგადოთ, აკვირვებდა მას. თითქოს ერიდებოდა მასთან მარტო დარჩენას, თითქოს ეშინოდა გამოკითხვა; როცა მის გაკვეთილის შესახებ რამეს კითხავდა, ის მოკლეთ უპასუხებდა და განზე იცქირებოდა. ახლა მისი სახე აშინებდა სმუროვს.

— გესმის, კალტუხინ, ძლიერ ცუდია, თუ ავათ ხარ და ზომას კი არ ღებულობ. იქნება მძიმე ავათმყოფობა რამე გაქვს და უკეთესია ამ თავიდან შეუდგე ექიმობას; შეგიძლია საავათმყოფოში დაწვე, შენ იქ არაფერს არ გადაგახდევინებენ.

— სულელობაა! სრულიადაც ავათ არა ვარ. სრულ ჯან-ღონეზე ვარ.. ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ეუბნებოდა კალტუხინი. მისი სახე თან და თან უარესი ხდებოდა, რაღაც ლაქები გამოაჩნდა ზედ. თვალებს გამოუთქმელი დაქანცულობა დასჩემდა. სმუროვმა ისიც შეამჩნია, რომ ლექციებზე ხშირათ თვალებს ხუჭავდა, თითქოს თითო წამით სთვლემსო.

— „არა. აქ რაღაც ამბავია,—თქვა თავისთვის ერთხელ სმუროვმა, კალტუხინი რაღაცას მალავს; უნდა უთუოთ გავიგო“.

ზამთრის ერთ საღამოს სმუროვმა გადაწყვიტა თვალიდევნება კალტუხინისათვის. ბოლო ლექცია გვიან გათავდა. სმუროვი კალტუხინის გვერდით იჯდა და ლექციის დროს სამჯერ გამოაღვიძა ის. ის შეინძრეოდა, აიღებდა თავს და იტყოდა:

— ეს იხე.. დაფიქრებული ვიყავი.—მაგრამ სმუროვს არ ჯეროდა ასეთი დაფიქრება. „ავათ არის, მთელი ღამეები არ ძინავს. მაგის ცხოვრებაში რაღაც დრამა ხდება“, ეუბნებოდა თავის თავს სმუროვი.

ლექცია გათავდა თუ არა, კალტუხინმა უცაბედად გაუწოდა ამხანაგს ხელი და უთხრა:

— მშვიდობით!

კალტუხინი საჩქაროთ გამოვიდა გარეთ.

მოხუცი.

(შემდეგი იქნება).

გურიის ამბები.

—

ლანჩხუთი, 8 მარტი. არსათ ისეთ მრავალ რიცხოვან ყრილობას არ დავსწრებივართ, რ იგორსაც ლანჩხუთში მოეყარა თავი. გარდა იმისა, რომ ლანჩხუთი დიდი საზოგადოება არის, შედარებით ვაკე და შვენიერი გზებით, თითონ ლანჩხუთლებსაც ბევრი რამ ქონდათ სათქმელი იმ კომისიის წინაშე, რომელიც ხალხის გაჭირვებას იკვლევდა. ოთხი თუ ხუთი ათასი კაცი და ქალი იქნებოდა შეყრილი ერთი აქაური მღვდლის ეზოში. ხეები ბავშვებით იყო შეფენილი. მართლაც რომ სასიამოვნო სანახავი იყო ეს ამოდენა მოზღვავებული ხალხი. ადამიანის მთელი ტანი მხოლოთ წინა რიგში მოჩანდა, ისე-კი მთელი ეზო თავებით მოფენილი გეგონებოდა.

ბ-ნ კრიმ-გირეის რჩევით ხალხმა 18 დეპუტატი აირჩია, ამათგან ექვსი ქალი.

ხალხის წარმომადგენელი: ყველა კაცისათვის საჭიროა საზრდო—პური. ვისაც ის აკლია, იმისი ცხოვრება გამწარებულია. გლეხს რომ საზრდო ქონდეს, ამისათვის საჭიროა მამული, ე. ი. მიწა. შეიძლება ვინმე თავენგანმა მიავლ-მოავლოს აქაურობას თვალი და თქვას: აი შეხედეთ, ეს ტრიალი სივრცე რომ გადაჭიმულა რატომ არ შრომობთ, რატომ არ ამუშავებთ და სარჩოს არ იძენთო. შემცდარი იქნება ამისი მთქმელი. მართალია ჩვენს ირგვლივ უზარ-მაზარი სივრცეა დაფენილი, მშვენიერი სახნავ-სათესი მიწებია, მარა ჩვენ იმაში წილი არ გვიძევს, ის სულ სხვის საკუთრებას შეადგენს. ამ მიზეზით ჩვენ იძულებული ვართ ვიმუშაოთ სხვის მამულში და ვიხადოთ უზომო ღალა. მიწის პატრონი ანუ მემამულე, რასაკვირველია, ეცთება თავისს მამულს მეტი შემოსავალი მოატანიოს და რაკი ჩვენ უზომო გასაჭირი გასაჭირი გვადგას, ისიც უზომო გადასახადს თხოულობს. თუ დროის შონა არ არის, მაშ რას ნიშნავს მოსავლის ნახევარი მიწის ღალათ? გარდა ამისა, ათასი სხვა შევიწროება გვადგას კიდევ მემამულეებისაგან. ეს კიდევ არაფერია, ყველაფერი რომ შვაზე უნდა გაგვეყო; ამასთან იმისი ნახევარი უწინ უნდა მოგვეტანა სადაც დაგვინიშნავდა ალაგს, და ჩვენი საკუთარი ღვთის ანაბარა დაგვეტოვებია. ხშირათ ჩვენი ყანების მახლობლათ შემამულეები საკუთრათ თავისთვის მოახნევინებდენ ხოლმე პატარა ნაჭერს. როდესაც ყველას ყანა აღებული აქვს, ისინი ხელს არ კიდებენ. რატომ ახლა თუ იცით? იმიტომ რომ საქონელი შემოვა შიგ, დავიჭერთ ან მოვკლავთ და ხეირი გვექნება. მე თითონ ხუთი დორი მოშიკლეს ერთ წელიწადს. საქონლის დაჭერა ძლიერ შემოსავლიანი ხელობაა. დაიჭირეს, ვთქვათ, საქონელი: ზარალი ხომ ერთი ორათ მიაქვთ, ამას გარდა ათ შაურს კიდევ „ნაბაწრს“ გვახდევინებენ. მხოლოთ იმისთვის, რომ ხარს ბაწარი ჩაება, ზარალს გარეშე ათი შაური უნდა დათვალო და ამდენი ათი შაურები რომ არ გვაქვს ქვეყანამ იცის მაგონი.

მეორე წარმომადგ. ჯერ ჩვენ არ გვახსოვს, რომ მთავრობის მოხელე კაცი უმთრახოთ და უთოფ-იარაღოთ მოსულიყოს ჩვენთან. დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ და თქვენი განათლებულობა არის უთუოთ ამის თავდები. ჩვენ როგორ შეგვიძლია მთელი ჩვენი გასაჭირი აგიწეროთ. როგორც მოგხსენდებათ, უწინ ჩვენ ყმები ვიყავით და დიდი გასაჭირიც გვედგა. ბატონის ხელში ჩვენი ყოფა გამწარებული იყო, მარა გვქონდა კვირაში ოთხი დღით საკუთარ მამულში მუშაობის ნება. მამულიც იმდენი გვქონდა, რამდენის შემუშავებაც შეგვეძლო. ბოლოს მოვიდა ხმა: გლეხს ათავისუფლებენო და მართლაც აგვისრულდა ეს ნატვრა. გლეხები გაათავისუფლეს ბატონებისაგან. ახლა იმას მოვითხრობთ, თუ რა არის ეს გათავისუფლება. მთავრობამ გათიშა ბატონი და ყმაი, მარა ისე მოახერხა, რომ საწყალ გლეხს თავისი თავისუფლება გამოსაყიდი დაურჩა. შეგვიდგინეს რაღაცა ,,უსტავნი გრამატა‘‘, რომლის არაფერიც არ გვესმოდა, მარა ბოლოს დავინახეთ, რომ ეს გრამატა გვართმევდა მთელათ ჩვენ უწინდელ მამაპაპეულ მიწა ადგილს და ისეთ მდგომარეობაში გვაყენებდა, რომ საეზოვე ადგილებიც ფულით უნდა გვეყიდა. რაც რამ კარგი მიწები და ტყეები იყო, ყველაყაი მებატონეებმა მიითვისეს. ამ გვარ უმიწაყლობას დაერთო ათას გვარი გადასახადები: სახაზინო, სასოფლო და სამღვდელო, გაგვეზარდა შანაური მოთხოვნილებანი, საჭირო დარჩა სწავლა-განათლება და ყველა ამას წელში გატეხილმა გლეხკაცმა ვეღარ გაუძლო. აბა შემოხედეთ მე, ჯერ ორმოცი წლისა არც კი ვარ და დამაკვირდით თუ სამოცისას არა ვგევარ. მერე რა არის ამისი მიზეზი? შიმშილი, სიცივე, გაუნათლებლობა; აგრეთვე იმ უსამართლოებათა თმენა, რომელსაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდები. ახლა კი აღარ გვაქვს სურვილი ჩვენი შვილებიც იმ ადუღებულ ქვაბში ჩავყაროთ, სადაც ჩვენი ჯანმრთელობა და კეთილ დღეობა იხარშება. ჩვენ ადამიანები ვართ და დროა ჩვენც ვიგემოთ ცოტათ მაინც ადამიანური ცხოვრების გემო. დღეს ჩვენი გლეხობა ასეა დანაწილებული: ზოგი მესაკუთრეა, ზოგი ვროებით ვალდებული, ზოგიც სახაზინო. ვაჭივრება ყველას ერთნაირი უზომო გვადგას. როგორც უწინ მოგახსენეთ, ბატონ-ყმობის გათიშვის შემდეგ რაც კარგი მიწები იყო ყველას ბატონები დაეპატრონენ. ჩვენ მოგვიზომეს პატარ პატარა ნაგლეჯები ,,ნადელებია‘‘ თუ რაცხა, ,,ეს ნადელები გამოიყიდეთ და თავი დაიხსენითო‘‘, გვითხრეს. რავა მიწა დმერთის გაჩენილია ხომ და თუ ბატონებს კი ქონდა წილი ღვთის ნამუშიერში, ჩვენ გლეხებმა რაღა დავაშავეთ? მარა ჩვენ გაუნათლებლები ვართ და ყველა გვატყუებს. განა ბატონყმობა კი სამართლიანი საქმე იყო? ჩვენ ვიცით, რომ ღმერთს ქვეყანაზე ,,ბატონი‘‘ და ,,ყმა‘‘ არ გაუჩენია. ასე სხვის სატანჯველათ ვყოფილვართ ძველთაგან და ბევრიც გვითმენია უსამართლობა. რისთვის უნდა გამოგვეყიდა ჩვენ მამული, რომელსაც უხსოვარი დროიდან ამუშავებდა ჩვენი წინაპარი? რისთვის და იმისთვის, რომ ძალა იმათ ხელში იყო და რაც უნდოდათ შეებოდენ. დღეს ჩვენ თვალები აგვეხილა და თვალცხადათ დავინახეთ ამ უსამართლოებს შიშველი და საზიზღარი სახე. დავინახეთ ყველამ და არა ერთმა და ორმა. მესაკუთრე გლეხებმა გამოიყიდეს თავისი მიწები და შეიქნენ იმის პატრონი, რაც აუცილებელ მათ სამართლიან საკუთრებას შეადგენდა. იგენმა ამაში გადაიხადეს მამა-სისხლათ ავალებული ფულები, რომლის გადახთა ჯერაც ვერ მოუხერხებიათ. ამ ასესხებული ფულით გამოვიყიდეთ ის, რაც ჩვენ გვეკუთ-

ნოდა! განა უდიდესი უსამართლობა შეიძლება? ეს ხომ ცარცვა გლეჯაა?! ეს ხომ ყაჩაღობაა?! მივხვდით ჩვენ ამ საქციელის სიყალბეს და ამიტომ მოვითხოვთ, რომ ის უსამართლოთ წაღებული ფულები უკანვე დაუბრუნდეს გლეხებს. ეს ძლიერ სამართლიანი მოთხოვნაა და ამის წინააღმდეგ არავინ ხმა არ უნდა ამოიღოს.

დროებით ვალდებული გლეხები დღესაც იხდიან სანადელო გადასახადს. საკუთარი მიწა იმათ დღესაც ფულით გამოსაყიდი აქვთ. ერთხელ ჩადენილი უსამართლობა უნდა გასწორდესო ვამბობთ და აქ კიდევ თავ დაუხსნელი გლეხები? ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს თავ-დაუხსნელი ან დროებით ვალდებულნი განთავისუფლებულ იქნან ყოველივე ვალდებულებისაგან ბატონის წინაშე. თავისი ნაღელები რატომ უნდა გამოიყიდონ იგენმა? დიახ მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას სრულიათ უსასყიდლოდ, უფასოთ.

სახელმწიფო გლეხებიც იმფერ მდგომარეობაში არიან, როგორშიაც დროებით ვალდებულნი. ცხოვრობენ მამა-პაპათაგან დატოვებულ მიწაზე, ანაყოფიერებენ, ამუშავებენ, თავისს ძალ-ღონეს შიგა ტოვებენ და გასაჭირის დროს იმისი გამოყენება კი არ შეუძლიათ. ვთქვათ ოჯახის უკიდურესმა მოთხოვნილებამ ამ ადგილის გაყიდვა მოითხოვა; შეუძლია სახელმწიფო გლეხს გაყიდოს თავისი მიწა? არა, არ შეუძლია. ,,ის სახელმწიფოაო'', ამბობენ. აი მაგალითათ: მყავს გასათხოვარი ქალიშვილები. ახლა ისეთი დროა, რომ ქალს უმზითოთ არავინ თხოულობს. უმთავრესი სამზითო საგანი ფულია. მარა საიდან გაუჩინო ეს ფული? უნდა გავყიდო ან სახლი, ან მიწა ან სხვა რამე და ამით შევიძინო ფული. სახელმწიფო ნაღელის გაყიდვის და დაგირავების ნება კი არა მაქვს. ეს უსამართლობაა, დიდი უსამართლობა, და საჭიროა ბოლო მოეღოს. სახემწიფო გლეხს ნაღელი საკუთრებათ უნდა გადაეცეს და უფლება ქონდეს სურვილისამებრ მოიხმაროს. 1882 წლამდე სახემწიფო გლეხები ტყითაც და გარეშე მიწებითაც სარგებლობდენ, მარა ამ წელს დააყენეს ტყის მცველები, ლესნიჩები და უბაჟოთ ფეხიც არსად ჩაგვადგმიეს.

ამას გარდა გვაწევს მრავალ გვარი უზომო გადასახადები. ყველა ეგენი ჩვენ უსამართლო ხარკათ მიგვაჩნია. აი მაგალითათ: მიწის ბაჟი, დრამა ფული, მამასახლისის ფული, ჩინოვნიკების ცხენის შენახვა და სხვა მრავალი.

მთავარ წარმომად: თქვენ მამასახლისი მთავრობისგან დანიშნული გყავთ, თუ საზოგადოების ამორჩეული.

ხალხის წარმომადგენელი: ახლა არც ერთი არა გვყავს, მარა უწინ გამოგვიგზავნეს მთავრობისაგან დანიშნული და 381 მანეთი საზოგადოების ფული შეჭამა, ჯამაგირს გარეშე რასაკვირველია. ჯამაგირი მამასახლისისათვის მარიამობისთვეში გადაგვახდიეს, ხოლო თითონ გიორგობისთვეში ინება მობრძანება. ეს სიტყვამ ჩოიტანა, თორემ ჩვენ გადასახადებზე ელაპარაკობდით. პირდაპირ გადასახადებს გარდა გვაქვს ჩვენ მრავალი არა პირდაპირი გადასახადი. ყველაფერ საჭირო ნივთზე თურმე ბაჟია დაწესებული. ეს ბაჟი ჩვენი გადასახადია, იმითი ვაჭარი როდი ზარალობს, იმას ჩვენ ისეთაც ტყავ-გამძვრალი გლეხები და მუშები ვზარალობთ. დღეს ჩვენ მთელი საზოგადოების პირით მოვითხოვთ, რომ გაჭირვებული გლეხ-კაცი განთავისუფლდეს ყოველ გვარი გადასახადისაგან. გადასახადი მხოლოთ იმან გადაიხადოს, ვისი წლიური შემოსავალიც ხუთას მანათს აღემატება. რაება, უფრო სამართლიანი არ იქნება, რომ მეტი იმას გადახთეს, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს? მთელ გადასახადებს ჩვენ გვაძრობენ კისრიდან და შინ ცოლშვილი კი შიმშილით გვეხოცება. შემოსავლის კვალობაზე გადასახადი სამართლიანი იქნება და ჩვენც ამას ვთხოულობთ.

ათას ცხრაას ოთხი წლის ოცი აპრილი ლანჩხუთლებისათვის საზარელი, მაგრამ ღირს სახსოვარი დღე იყო. ბილწი პოლიციელების ტყვიამ ორი უდანაშაულო და საყვარელი ვაჟკაცი გამოთიშა ჩვენს საზოგადოებას. ღამის ათი თუ ცხრა საათი იქნებოდა, რომ სამუშაოდან მომავალი პართენ ებრალიძე ვაგზლის ქვევით რკინის გზის ლიანდაგს მოადგა. უცებ მოესმა: «შედექ, თორემ მოგკალიო» და თოფ მოღერილი სტრაჟნიკი წინ შეეფეთა. რას იზამდა, საით უნდა წასულიყო. სტაცეს ხელი ბევრი ცემეს და გონება მიხდილი იქვე დააგდეს. გალახული ებრალიძის ყვირილზე მოიჭრა იქვე ახლო მყოფი ორი ახალგაზრდა **იოსებ ებრალიძე** და **კოსტა ჩაჩავა,** მარა ჯერ ფეხიც არ შემოედგათ ლიანდაგზე, რომ იგრიალა თოფებმა და ორი ახალგაზრდა მიწაზე წაიქცა. ჩასაფრებულმა პოლიციამ, რაკი ოშოვნა პატიოსანი მუშები სათოფე ძანძილზე, ჯაშუში **დავით მენაღარიშვილის** ჩვენებით, იქვე წააქცია. ერთ მოკლულთაგანს საკუთრივ ბოქაულის თანაშემწე ისიდორე კვაშალის ტყვიამ გაუგმირა გული, მეორე კი სტრაჟნიკის თოფმა იმსხვერპლა. ის სტრაჟნიკი, რომელმაც უარი თქვა კაცის, მუშა კაცის მოკვლაზე მეორე დღესვე გააგდეს სამსახურიდან; მაშასადამე კაცის კვლა საუკეთესო სამსახური ყოფილა. ორი დედის ერთა, ოცდა ხუთი წლის ახალგაზრდა, ორივ ცოლშვილიანი, ორმა მუხანათმა ტყვიამ მოსწყვიტა წუთის სოფელს. ორი მუშა ხელი და ორი პატიოსანი ახალგაზრდა ყოველად უმიზეზოთ, გზაზე მიმავალი დახოცეს პოლიციელებმა; დახოცეს განუკითხავათ, უსინდისოთ, ქურდულათ. დაინიშნა ამ საქმეზე გამოძიება, მაგრამ რა უნდა ამოეჩინა გამომძიებელს გარდა იმისა, რომ მშვიდობიანათ გზაზე მიმავალ ახალგაზდებს ჩაუსაფრდა პოლიცია და სათოფეზე რომ მიუშვა, უცებ დაახალა და გასწყვიტა. ეს კიდევაც გამოიძიეს და კიდევაც დაამტკიცეს, მარა პოლიციას ნება ქონია ვისაც შეხვთება მოკლას და მკვლელები ქე დასეირნობენ არხეინათ. გამომძიებელმა აი ეს სურათიც გადაიღებია.

(აქ კრიმ-გირეის წარმოუდგინეს მოზრდილი ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც შემდეგს წარმოადგენდა. რკინის გზის ლიანდაგთან, მეორე პერეეზდის მახლობლათ სტოროჟის ბუდკა დგას. აქვე ჩადის პატარა ღელე. ბუდკის წინ ბუჩქებთან დგას კარგა ზორბა ტანის ახალგაზრდა, რომელსაც უკან თოფ მოღერილი სტრაჟნიკი უდგას. ეს მომღიმარე სახის ახალგაზრდა გახლავთ ჯაშუში დავით მენაღარიშვილი, რომელსაც უნდა ეცნო მომავალი ახალგაზდები. ამათ უკან ღელის პირში ბუჩქს მოფარებია ლანჩხუთის ბოქაული სოლომაშვილი ერთი სტრაჟნიკით; ბუჩქის წინ კი გამოქიმულა ბოქაულის თანაშემწე ისიდორე კვაშალი და ერთი სტრაჟნიკი. ბუდკის გვერდზე იდგა მამასახლისი—ჯაშუში და მისი ყარაული წილოსანი. აი ეს პირები ელოდენ აქ უანიდან მომავალ კაცებს მოსაკლავათ და როგორც ზევით დაინახეთ კიდევაც აისრულეს სურვილი).

მთელ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მკვლელობამ. ყველანი ვგლოვობდით ასე ღალატით მოკლულ ამხანაგებს. ჩვენი მწუხარება კი თურმე ახლა იწყებოდა. ჩამოვიდა გუბერნატორი და მოიტანა თავისი რისხვა. დაინახა თუ არა ჩვენი მოკლული ამხანაგების სახე დაკაწრული შშობლები, გულცივათ ბრძანა: ,,აქედან გაიყვანეთ, თვალიდან მომაშორეთო''. ნაცვლათ ნუგეშისა და სამართალისა: ჯარი, კაზაკები, ეგზეკუცია, მათრახები და სხვა უბედურება. მოგვიტანა შეგვაგროვა და ისეთი უშვერი სიტყვებით

დაგვიწყო ლანძღვა, რომ იმას არც უზრდელი და გაუნათლებელი ვინმე იკადრებს.

მთავრობის წარმომადგ. საჭიროა ვიცოდე: რა იყო მიზეზი ასეთი შეტაკებისა. შეიძლება თავად-აზნაურობასთან რაიმე უთანხმოება მოგიხდათ. ერთი სიტყვით, რა მიზეზმა გამოიწვია ეს სისხლის ღვრა?

ხალხის წარმომადგენელი. მიზეზი ჩვენის აზრით იყო ის, რომ პრისტავის თანაშემწე კვაშალს უნდოდა პრისთაობის მიღება, სამსახურში დაწინაურება და ამისათვის კი საჭირო იყო რავდენიმე უდანაშაულო კაცის მოკვლა და ორი ოჯახის დაღუპვა-დაობლება. ჩვენ აგი მერე შევიტყეთ, რადგანაც ამ საქმეს არ შეხედეს, როგორც დანაშაულს. პირ-იქით დანაშაულათ კაცს იგი ჩაუთვალეს—მოძმის სისხლი რომ არ დაღვარა და სამსახურიდან დაითხოვეს. მარა ამაზე ლაპარაკი ღირს განა? ქვეყანამ იცის, რომ პოლიციელები განგებ, ხელოვნურათ აჩენენ დანაშაულს და ამგვარათ უმაღლეს ხარისხზე ადიან.

ახლა ქვევით მოგახსენებთ. ამ საქმეზე (უდანაშაულო კაცები რომ დახოცეს) ჩამოგვიყენეს ეგზეკუცია. ჯარის შესანახათ გადაგვახდიეს ხუთი ათასი (5000) მანეთი. ამ ფულს გარდა უნდა გვეძლია კიდო სახლი, შეშა, ნავთი და სხ. უნდა გვეზიდა საქონელი და ვინ მოსთვლის კიდევ რა არ დაგვავალეს. სათ შეგვეძლო მაშინ ამდენი ფულის გადახდა, რადგანაც ფუთი სიმინდი მანათ ნახევრათ იყიდებოდა და არც გასაყიდი იყო? ამიტომ დადიოდენ სოფელში ურმებით და აგროვებდენ სახლის ავეჯეულობას: სკამებს, სტოლებს, კრაოტებს, თოხებს, კარდლებს და სხვ. ბევრი მაშინ წართმეული ხიბაკი ახლაც კანცელარიაში ყრია. უნდა ისიც მოგახსენოთ, რომ ამ დროს საქონლის ჭირი იყო ჩვენში და ხარების გამოყვანა გვეშინოდა. ამის მიზეზით ხალხი შეუბეს ურმებში და აზიდვიეს სალდათების ბარგი. (ამ დროს ერთი დეპუტატი შეეკითხა ხალხს: „საჭირო რომ დარჩეს მთავრობისათვის კიდევ გასწევთ ხარების მაგიერობას და შეებმებით ურმებშიო''. ამ შეკითხვის პასუხათ გაისმა საშინელი გრიალი: «იგენს აღარ მოესწრობა ის დროი, რომ ჩვენ უღელში გაგვიბანო».)

ქალი დეპუტატი. მაშინ როცა ჩვენი ქმრები სამუშაოთ წავიდოდენ, ჩვენც უნდა მიგვეტოვებია ოჯახი და სადღაც გადავხვეწილიყავით. მუშაობისგან მოჭანცულ კაცს საჭმელს ვეღარ ვუმზადებდით, რადგან შინ მოცთა შეუძლებელი იყო. გათახსირებული და გარყვნილი კაზაკები ყველაფერს აოხრებდენ, დაძვრებოდენ საქურდლათ: საღორეებში, საქათმეებში, სახლებში; აოხრებდენ ბუკებს, იპარავდენ ღვინოს და ვინ მოთვლის ყველას. იმათი შიშით ბავშები გადაგვერია.

მთავრ. წარმომად. სალდათებიც ასე იქცეოდენ, თუ უფრო ადამიანურათ.

ქალი დეპუტატი. სალდათები უფრო პატიოსნები არიან. იგენს ადამიანის ნიშანწყალი შერჩენიათ, მარა ეს კაზაკები ენით აუწერელ სიმხეცეს და უზრდელობას ჩადიოდენ.

მთავრ. წარმომ. შეიძლება გავიგოთ დაჭერილთა და გადასახლებულთა გვარები და სახელები?

ხალხის წარმომადგენელი. გადასახლებულნი არიან: 1) პართენ ებრალიძე 27 წლის; 2) არონ სილ. ჩხეიძე 27 წლის; 3) ვარლამ ირაკ. კალანდაძე 29 წლის; 4) ლავრენტი მაქ, სიხარულიძე 35 წლის; 5) დავით პეპუნ. ბარამიძე 48 წლის; 6) გრიგოლ ილარ. ურატაძე 30 წლისა.

დაჭერილები არიან: ნიკიფორე მახარ. ურუშაძე 40 წლისა; 2) გიორგი მაქ. ზენაიშვილი 28 წლისა; 3) ვლადიმირ მენალარიშვილი 18 წლისა და 4) იასონ რევაზის-ძე ურუშაძე 23 წლისა.

გაქცეულები არიან: 1) ალექსანდრე იმნაიშვილი 19 წლისა; 2) ილარიონ გოგიჩაიშვილი 32 წლისა; 3) პავლე წილოსანი 35 წლისა და 4) შერმანდი ივანეს-ძე დოლიძე 32 წლისა.

იცოდეთ, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი პირები პატიოსანი და სანდო სოფლის მუშები იყვენ; უყვარდათ სიმართლის ლაპარაკი და ძულდათ უსამართლობა. იმათი საზოგადოების მოშორება დიდი უსამართლობა არის და ჩვენ მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას.

მოხუცი დეპუტატი. სამოც და შვიდი წლის კაცი გახლავართ და ადვილათ მიხვდებით თუ რამდენი გასაჭირი გადამიტანია ამ წუთი სოფელში. მთელი ჩემი ცხოვრება, როგორც ყველა მუშისა, მხოლოთ ერთი გაჭირვებაა მეტი არაფერი. მარა მე კერძოთ ჩემს გასაჭირზე ჯერ ხმა არ ამომიღია. იმას უხმოთ ვიკლავდი გულში, არავის ვუმხელდი: ან კი ვისთვის უნდა გამემხილა? ირგლივ ან მჩაგვრელებს ვხედავდი, ან ჩემსავით გაჭირვებულს. დღეს კი აღარ მინდა ცივს სამარეში თან ჩავიყანო ჩემი დარდები, ჩემი ჭირვარამი და აი აქ მოგახსენებთ ყველაფერს.

არა თუ მარტო ჩვენი, ვურულების, ან კავკასიელების, არამედ მთელი რუსეთის მუშა ხალხის ნაშრომ-ნაიფლარით არის სამსე ხაზინა ოქრო-ვერცხლით. განა სამართლიანი არ იქნება რომ იმ ჩვენ ნაშრომში ჩვენც წილი გვქონდეს და ცოტა რამ ჩვენს საჭიროებასაც მოხმარდეს იმ ფულიდან, რომელიც ჩვენი შრომის ნაყოფია?! ჩვენ განათლება გვჭირია და ჩვენი ფულებით კი ვიღაცა მუქთა-ხორა უსაქმოების შვილები იზრდებიან. ეს სამართალია?! მე აი 67 წლის მოხუცი, ჯოჯოხეთურ სიბნელეში აღვზრდილვარ და ჩემი შვილებიც იძულებულნი არიან იმასეთსავე სიბნელეში დარჩენ. რატომ ჩემ შვილს არ უნდა მიეცეს აღზრდის საშუალება იმ ფულიდან, რომელიც ჩვენისთანების ნაშრომით მოგროვებულა? რატომ მღვდლებისა და თავად-აზნაურების შვილები უნდა იზრდებოდენ კლასებში ხაზინის ხარჯით, როცა რომ იგენს ისეც ბევრი აქვთ, და ხაზინის სიმდიდრეშიაც წილი არ უძევთ? იქნება ჩვენი შვილი უფრო ნიჭიერი დარჩენილიყო და საზოგადოებისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა. სამღვდელოებას, გარდა იმისა, რომ ხაზინიდან ეძლევა ჩვენი ფული, ჩვენი თავიც საჭმელათ ჩაუგდეს ხელში. ეს უფლება კერძოთ ღვდელს კი არ ეკუთვნის, არამედ მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე. ეყოს ახლა მღვდლებს რაც გვტანჯეს და გვაწვალეს. აწე იგენმა შეინახონ მღვდლები ვისაც იმათი სულიერი დარიგება სჭირია. მე და ჩემი ხნის ადამიანები ვფიქრობდით რომ სულიერი მამები იყვენ ქრისტეს მაგიერი მღვდლები; ახლა კი დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ისინი ყოფილან დათვის მაგიერი მგლები. კერძო ცხოვრებაში ხომ მორჩილება მონობას გვიქადაგებენ იესო ქრისტეს სახელით და ამ ყოფაშიაც ჩაგვაგდეს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან და სკოლების საშვალებითაც უბნელებენ გონებას საბრალო ბავშვებს, რომ პატარობიდანვე ჩაუნერგონ გულის სიღრმეში მორჩილება და მონობა. ჩვენ არ შეგვიძლია ამისი მოთმინენა შემდეგში და ვთხოულობთ, რომ მღვდლებს სკოლების გახსნის უფლება ჩამოერთვათ სრულიათ და სახალხო სკოლებიდანაც განიდევნონ ისინი, როგორც მონობის მქადაგებელნი. ჩვენ გვინდა სწავლა, ძლიერ გვინდა, რადგან ვიცით რომ ახლანდელ დროში უსწავლელი კაცის ცხოვრება გაჭირვებულია. მოვითხოვთ უფასო საყოველთაო სავალდებულო სწავლას 16 წლამდე, როგორც ქალების ისე ვაჟებისათვის. მოვითხოვთ, რომ ყველა

საჭირო სასწავლებელი ადგილობრივ გვქონდეს და ათას ვერსზე შვილების გზავნა აღარ გვჭირდებოდეს. ჩვენი აზრით სკოლა უნდა ემსახურებოდეს ძმობის, ერთობის და ქეშმარიტების გავრცელებას ხალხთა შორის და არ უნდა იყოს, როგორც დღეს არის გათხსირებისა და გონებრივათ გადაგვარების იარაღი. უკანასკნელათ თათრებთან ჩხუბში მეც ვიღებდი მონაწილეობას. ქობულეთი, ციხის-ძირი, ჩაქვი, არდაგანი და ყარსი ჩვენი სისხლით აღებულია. ჩვენ, ხალხის მილიცია, ვიბრძოდით რომ დაგვეფარა ჩვენი მამული და დავიფარეთ კიდევაც. ხალხი უფრო თავ-გამოდებით დაიცავს თავის მამულს ვიდრე სალდათი და ყაზახ-რუსი. ამას ამტკიცებს ჩვენი თათრებთან ომიც და ახლანდელი იაპონიის ჩხუბიც. სალდათობა უმძიმესი ხარკია გლეხ-კაცობისათვის. ახლგაზდა და შრომის შეძლე ვინცაა ექიმების შემოწმებით, ყველანი სალდაც მიყავთ და ყაზარმებში ამწყდეციენ. შინ ცრჩებით ჩემსავით მოხუცი და ბავშვები. როდესაც სალდათობა შემოიღეს ჩვენში, გვითხრეს: სახემწიფო გადასახადს გაპატიებთო, მარა როგორც მოსალოდნელი იყო ეს ტყუილი გამოდგა, იმათი გადასახადები „ნედრიმკებთ“ იწერებოდა და 1901 წელს, როცა 1000 მანეთობით მოგროვდა მოგვთხოვეს. ამის პატიება უნდა გეჩივლათო. სალდათში გაყვანილი შვილები რომ სარჩენი აღარ გვყავდეს კიდევ ვინ ჩიოდა რამეს, მარა ხათაბალა ის არის, რომ გაღარიბებულმა ოჯახმა კიდევ უნდა უგზავნოს წართმეულ შვილს 60—160 მანეთამდე ან მეტი.

ახლა ისიც გვიღეთ თუ რა დანიშნულებისათვის მიყავთ თურმე ჩვენი შვილები სალდათში. იქ იგენს ოთხი წლის განმავლობაში ასწავლიან კაცის კვლას, ოჯახების აკლებას და სხვა ამგვარებს. იმათ ეუბნებიან სახემწიფო უნდა დაიფაროთ შინაური და გარეული მტრებისაგანაო და ახლა გამოირკვა, რომ შინაური მტრები ჩვენ, გაჭირვებული გლეხები და მუშები ვყოფილვართ. თურმე ჩვენ შვილებს ჩვენს გაჟლეტა ასწავლიან, ამისთანა უსამართლობა, ამისთანა საზიზღრობა გაგონილა? ჩვენ წინააღმდეგი ვართ მუდმივი ჯარის შენახვის და მოვითხოვთ სალდათობის მოსპობას. საშიშროს დაფარვა თუ საჭირო იქნება ქვეყანაზე კაცი ბზით იქნება, რომ ქვეყანას სიკვდილე შესწიროს და გასაკეთილისაგან დაიცაროს. ჩვენი სისხლით ანაღები აღგილები: ჩაქვი, ქობულეთი ახლა საუფლისწულო წოდებამ დაისაკუთრა. ეს სამართალია. ხალხი უმიწა-წყლოთ იტანჯება და მისი სისხლით შრანგარს მუქთახორა წოდება ისაკუთრებს.

შარშან შემოდგომაზე ქალთაძე პრისტავმა ჩვენგან დო ჩვენე ქვრდობის მოსპობა და გზების კეთება. ორივე საქმე საზოგადოებისათვის სასარგებლოა და ჩვენც ხალისით მოვეკიდეთ მოხდობილ საქმის სისრულეში მოყვანას. ერთ სალმოს შევიწვიეთ საზოგადოების სხვა და სხვა კუთხეებიდან ამორჩეული კაცები რიცხვით ასამდე და ერთი ამხანაგის სახლში მოლაპარაკება გავმართეთ. ჯაცებ თოფების გრიალი მოისმა! იმას მოყვა მეორე ხალპი, მეორეს მესამე და სახლის კედლები სულ ტყვიისაგან დაიცხრილა. ჩვენ ვერ შევხდარიყავით ამ მოვლენის მიზეზს და არ ვიცოდით როშელს როდის მოგვისპობდა სიკვდილეს ასე ლაღატით დაშენილი ტყვია. ბოლოს მოისმა ხმა: „გარეთ არავინ გამოვიდეს თორემ მაშინვე მოვკლავთო; ჩვენ ოთხმოცი კაცი ვართ და ვერსათ წაგვიხალთოო“. სულ თურმე ექვსი სტრაჟნიკი და ერთი პრისთავი იყო; თოფი კი ასჯერ მაინც დასცალეს. ასეთ შიშსა და კანკალში გაგვათენებიეს იქ. იმას ეგონა თურმე იქ მქადაგებელი გვყავდა და იმისთვის შევყრილიყავით. გადაგვარჩეს ცხვრებივით, გაგვწბრაკეს, მარა რაც არ იყო იმას ხომ ვერ იპოვნიდენ? ის ოჯახი სადაც თავ-მოყრილი ვიყავით სულ ააწიოკეს; ქვეშაგებები დახიეს შეიძლება შით აკრძალული ქაღალდები იყოსო, მარა აქაც გაუცრუვდათ იმედი. ჩვენ ყველანი თუთხმეტი დღე გვათრიეს აქეთ-იქით და ვერმე ჩამოგვეხსნენ. რისთვის შევგხდა ახლა ამდენი უსიამოვნება? რა დავაშავეთ ჩვენ იმის ფასი. რომ უცებ ალყა შემოგვარტყეს და გაუფრთხილებლათ სახლს თოფები დაუშინეს? ჩვენ ბოქაულმა თითონ მოგვანდო საქმე და როცა მოლაპარაკება დაიწყეთ, მაშინ თოფებით დაგვერია. ამისთანა მაგალითი ჩვენ არა ერთი და ორი გვახსოვს. ამისათვის მოვითხოვთ: კრების თავისუფლებას, მოვითხოვთ აგრეთვე სიტყვის, ბეჭდვის, გაფიცვის, კავშირის და რწმენის თავისუფლებას. ყველა ესენი ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის აუცილებლათ საჭიროა. ჩვენ მოვითხოვთ რომ ჩვენი ოჯახი, ჩვენი ბინა უზრუნველ ყოფილი, ხელშეუხებელი იყოს პოლიციისაგან, რომ ჩვენ სახლში ჩვენ ვიყოთ ბატონი და არა ბოქაული ქვათარაძე.

სამართალი რომ არ გვაქვს და მოსამართლეები არ გვყავს — ეს ყველასათვის ცხადია. ჩვენი მოსამართლეები სიტყვით არიან მსაჯულები თორემ მათი მოქმედება ხელე-პირათ უსამართლობაა. კანონებს გვიწერენ ვიღაც-ვიღაცა ჩინონიკები, რომლებსაც ჩვენი ცხოვრების ავან-ჩავანი არ გაეგებათ. ესეც არ იყოს კანონი ერთ ალაგას იწერება და ცხოვრება ყველგან ერთნაირი ხომ არ არის?! ხშირათ მოსამართლეებს ჩვენი ენა არ ესმით და პირად თხოვნით მიმართვა არ შეიძლება. უნდა წახვიდე და აწერიო ვინმე „აბლაკატს“ თხოვნა და ამაში ცალკე ფული იხადო. გარდა ამისა სამართალში ქრთამები უნდა ხარჯო და ვინ იცის კიდევ როდის ელირსები საქმის გარჩევას. ჩვენ დღეს დავინახეთ, რომ ასეთი სამართალი ხალხის დამღუპველი სამართალია; რომ ის სამართალი კი არა ნამდვილი უსამართლობაა. ამისათვის მოვითხოვთ ხალხისაგან ამორჩეული ნაფიცი მსაჯულების შემოღებას. ყველა სასამართლოებში საქმის წარმოება ადგილობრივ ენაზე უნდა წარმოებდეს და მსაჯულმა უნდა იცოდეს მომჩივანის ენა.

ჩვენ რომ სამართალი არ გვქონდა, ეს იქიდან მტკიცდება, რომ ამდენი ამხანაგი გადაგვისახლეს სრულიად უდანაშაულოთ და საქმის გაურჩევლათ. ჩვენ მოვითხოვთ ყველა გადასახლებულთა დაბრუნებას და დაჭერილთა განთავისუფლებას.

ჩვენი მოთხოვნილება არ არის კერძოთ გაურული ან კავკასიური. ამას მოითხოვს მთელი რუსეთის მუშა ხალხი და გლეხობა, რომელიც ჩვენსავით გაჭირვებული და შევიწროებულია დღევანდელი მთავრობისაგან.

სხვებთან ერთათ ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე წოდებათა მოსპობას. დეე ყველა ადამიანს თანასწორი უფლება ჰქონდეს კანონის წინაშე, უფლება ბუნებრივი საკუთარი ღირსებით შეძენილი და არა მუცლიდან დაყოლილი. მართალია თქვენ გვპირდებით: „რის შესრულება მთავარ-მართებლს შეუძლია იმას ახლავე აგისრულებთ და რაც მის უფლებას აღემატება, უმაღლეს მთავრობასთან ვიშუამგდომლებთო“, მარა ჩვენ ალარ გვჯერა არაფერი. ერთი მხრით თქვენ გვაიმედებთ, მეორე მხრით კი ალიხანოვი მოგვადგა ჯარით და აოხრებას გვიპირებს. ამიტომ გასაკვირიც არ უნდა იყოს ჩვენი უნდობლობა ახლანდელი მთავრობისადმი. ჩვენ მოვითხოვთ დამფუძნებელი კრების მოწვევას. ჩვენ ჩვენ მოპავალს მხოლოთ ხალხისგან არჩეულ მთავრობას ჩავაბარებთ და არა სხვას ვინმეს. აი უმთავრესი მუხლები ჩვენი გასაჭირისა და ჩვენი გულის ტკივილი.

—

ამ დროს კომისიის წარმოდგა სამი ნიგნოთველი გლეხი და შემდეგი მოახსენა. „გუშინ კრების დროს ჩვენ დავითხო-

ვეთ რკინის გზის სადგურის უფროსი, ერთი ჟანდარმი და ოფიცერი, რადგანაც მათი დასწრობა, როგორც არა საიმედო პირებისა სასურველი არ იყო. დღეს მივეცით სადგურში წერილების მისაღებად ბ სადგურის უფროსმა თითო ღია წერილში სამ-სამი კაპეიკი მოგვთხოვა. უწინ ასეთი გადასახადი არ ედო წერილს. ჩვენს შეკითხვაზე გვიპასუხა: ,,წიგნით და სულთან კრიმ-გირეის მოთხოვეთ წერილებიო''. გარდა ამისა თითო ვაგონის გამოწერაში ერთ მანეთს ქრთამს თხოულობდა. დღეს ორ მანეთ ნაკლებადარ ქნა და კიდევ თქვენზე მოგვითითაო''. ამ ამბავმა საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ცოტათი უფრო გონიერი ყოფილიყო ბ-ნი სადგურის უფროსი, რასაკვირველია, ხალხის წინააღმდეგ ასეთი შურის ძიებით არ გამოიმხელდებოდა.

—

დასასრულ ბ-ნ კრიმ-გირეის წარუდგენ ისიდორე კვაშალის თაოსნობით დახოცილი ებრალიძის და ჩაჩავას ოჯახობა. აგრეთვე მოვიდა ხიდისთავის მახლობლათ პოლიციელთაგან დევნის დროს გუბაზოულში დამხრჩვალი ჭიჭიკაშვილის მოხუცი დედა. პირველი ორნი თხოულობდენ: მსვლელობა მიეცათ მათი საჩივრის ქალალდისათვის, რომელიც მთავრობამ უყურადღებოთ დატოვა. უჩივლეს დაობლებულმა ოჯახებმა იმ პოლიციელთ, რომლებმაც ასე უდანაშაულოთ დაობლეს მცირე წლოვანი ბავშვები. კოსტა ჩაჩავას დარჩენია სამი წლის ვაჟი მიშა და ხუთი წლის ქალი, ებრაელიძეს კი 3 წლისა ქალი. სულთან-გირეი შეპირდა, რომ მათ კანონიერ საჩივარს მსვლელობა მიეცემაო.

ამ კრების დროს ბ-ნ კრიმ-გირეიმ ტელეგრამა მიიღო და საღამოს თბილისისაკენ გამოემგზავრა. სულ დაიარა 12 საზოგადოება და 13 კი დაუვლელათ დარჩა.

ნ. კ—ძე.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ამ დღეებში თფილისის რუსულ პრესასს ერთი დრო-გამოშვებითი გამოცემა კიდევ მიემატა, სახელდობ ყოველკვირეული გაზეთი—**Кавказскій край** (კავკასიის მხარე). დღეს ჩვენ დრო-გამოშვებითი გამოცემების სიცოტავეს ვეღარ ვიჩივლებთ, მაგრამ საქმე ის არის, თუ რას გვაძლევენ ის გამოცემები, რომლებიც უკვე არსებობენ, როგორ აკმაყოფილებენ ისინი დღევანდელი მკითხველის მოთხოვნილებას, როგორ ემსახურებიან თავის წმიდა და მაღალ დანიშნულებას. არავისთვის საწყენი არ უნდა დარჩეს, თუ ვიტყვით, რომ ამ მხრით თფილისის ქურნალ-გაზეთობა ძლიერ დაცემულია; განსაკუთრებით ითქმის ეს ადგილობრივ რუსული პრესსის შესახებ. ყველამ იცის, რომ ადგილობრივი რუსული პრესსა მხოლოთ ადმინისტრაციის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და ბიუროკრატიულ შეხედულების განსამტკიცებლათ იყო შექმნილი, და დღემდე იგი ამ დანიშნულებას ემსახურება. იმან ვერ გაარღვია ეს ფარგალი, მიუხედავათ იმისა, რომ თფილისში რამდენიმე კერძო დრო გამოშვებითი გამოცემა არსებობს. ამიტომ ყველა ადგილობრივ ახალ ორგანოს რუსულ ენაზე ჩვენ რაღაც ეკვის თვალით ვეგებებით; მით უმეტეს ეკვს იწვევს ახლათ დაარსებული გაზეთი „Кав. Край“ ბ-ნ ესაძის რედაქტორობით. საზოგადოთ მიღებულია, რომ ყველა ახალ გამოცემას სიხარულით ეგებებიან ხოლმე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს სიხარულის გამოცხადება ყალბია. და მართლაც, რა სიხარულს უნდა იწვევდეს დღეს ჩვენში ისეთი ორგანოს დაარსება, რომელსაც გარკვეული მიმართულება არა აქვს. და მართლა, განა საკმარისია დღეს იმის ძახილი, რომ კავკასიაში სანატრელია 1863 წლის რეფორმების შემოღება, რომ კავკასიის მცხოვრებნი, თათრები, ქართველები, სომხები და სხ. ყველა ძმები ვართ, რომ კავკასია ეს შვენიერი, საკვირველი ქვეყანაა, ბუნებით მდიდარია და სხვა ამისთანები? გარდა ამისა, ვიღას დააკმაყოფილებს დღეს ყოვლად უშინაარსო სიტყვები: ,,სიმართლე-ეშმარიტება'', ,,სიმართლე-სამართლიანობა'', რომლებსაც ახალი რედაქცია თავის რწმენის დედა-ბოძათ ასახელებს. ახალი ორგანოს ბედ-იღბალში გასაკვირალი კიდევ ის არის, რომ რედაქტორს პირველი ნომრის შემდეგ თავის მოვალეობა მეორე რედაქტორისთვის გადაუცია, როგორც ეს ჩანს სარედაქციო წერილის შენიშვნიდან, და იმედს გამოთქვამს, რომ უკანასკნელი გაიყვანს გაზეთში იმ მიმართულებას, რომელიც გამოხატულია დღევანდელ სარედაქციო წერილშიო. ე. ი. ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგშიაც გაზეთი ისევე უფერული და ყოველ გვარ მიმართულებას მოკლებული იქნებაო.

***

გაზ. ,,ივერიის'' მე-32 №-ში დაბეჭდილია მოწინავე წერილი, სათაურით ,,ახირებული პატრიოტობა'', რომელშიაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

,,თურმე ნუ იტყვით, აწინდელი ქართული პრესსა და ჟურნალისტება, რომლებიც მეტ ,,სიჩუმის ტაქტიკას'' არ თანაუგრძნობენ და კლასთა პრინციპს ადიარებენ,—უადგილო გზაზე ვყენებენ საზოგადოებას, ძირს უთხრიან ეროვნულ ერთობას და მოდიანობასაო''... ეროვნული ინტერესი მაღლა დგას მშრომელ ხალხის ეკონომიურ ინტერესებზე და ამიტომ ეკონომიური უთანასწორობა უნდა დავივიწყოთ და მხოლოთ საერთო ეროვნულ უფლებებსა და ინტერესებზე უნდა ვიფიქროთო''.

შემდეგ წერილის ავტორი ამბობს, რომ

,,ეს არის მოკლეთ ის აზრი, რომელსაც თავის სამბოლო სარწმუნოებისათ თვლის ძველი რწმენის არა ერთი და ორი ქართველი პატრიოტი''... მაგრამ აუარებელი ფაქტები, რომლებიც დღეს ჩვენ თვალწინა ხდება, სრულიად შეუგნებელსაც კი უნდა არწმუნებდეს, რომ ერი არ შეადგენს ისეთ განუყოფელ ერთეულს, რომლის ნაწილების ინტერესები ყოველგან და ყველაფერში ერთმანეთთან შეთანხმებულიაო''.

მკითხველმა იცის, თუ ვინ არიან ისინი, ვინც არ თანაუგრძნობდა ,,სიჩუმის ტაქტიკას და ადიარებდა კლასთა ბძოლის პრინციპს, ვინც ,,ეროვნულ'' ინტერესზე მაღლა აყენებდა მშრომელი ხალხის ინტერესებს. ისიც ცნობილია, რომ ჩვენი ქურნალ-გაზეთების დიდი უმრავლესობა, და იმათ შორის ,,ივერიაც'', ებრძოდენ ასეთ შეხედულებას. ამიტომ დღეს ჩვენ სიამოსნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ განახლებული «ივერია» ეთხოვება ამ ყალბ შეხედულებას. ვისურვებთ, რომ ეს ნაბიჯი უკანასკნელი არ დარჩენილიყოს და ხსენებულ გაზეთს სავსებით მიეღოს ის შედეგები, რომლებიც გამოდის ამ პირველ ნაბიჯიდან.

***

გაზ. ,,ნოვ. ობოზრ.''-ის მე-№ 61-ში მოყვანილია თავ. ჯანდიერის და ბ-ნ ვეიდენბაუმის ნალაპარაკევი, რომლებიც გორის მაზრაში იყვენ გაგზავნილი გლეხების მოძრაობის გამოსარკვევათ. ხსენებული პირები ერთ ხმათ ღაღადებენ, რომ გლეხების ეკონომიური მდგომარეობა უკიდურეს გაჭირვებამდის არის მიხწეული, ამიტომ საჭიროა დაუყონებლივ იქნას მიღებული ზომები იმათ ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათო. ბ-ნ ვეიდენბაუმის სიტყვით, ეს გლეხები ბუნტოვჩიკები კი არ არიან, არამედ რუსეთის მეფის საწყალი ქვეშევრდომებიო. ,,ჩვენ—განუცხადებიათ იმათ—მუდამ ვშრომობთ, მხოლოთ იმიტომ, რომ ვაძლიოთ გადასახადები ხაზი-

ნას, მემამულეებს და სამღვდელოებას. თავისთვის და დამშეულ ოჯახე[ბ]ისათვის ჩვენ აღარაფერი აღარ გვრჩებაო[ა]". ისინი ადარებდენ თავის თავს,—ამბობს ბ-ნი ვეიდენბაუმი,—მიწაზე მიკრულ ფოთოლს, რომელსაც არ ძალუძს მიწას მოცილდესო. მაგრამ ხსენებულ პირების ნაღაპარაკევი მეორე მხრით ჩვენ მეტათ გვაოცებს: ისინი ამავე დროს ერთხმათ გაიძახიან, რომ დღევანდელი მოძრაობა აგიტატორების გავლენით არის გამოწვეული, სოფლის საზოგადოებათა გასაჭირს ჩვენ გვიხსნიდენ არა ამ საზოგადოების წევრები, არამედ სრულებით გარეშე პირები, ანუ თფილისიდან ამოსული აგიტატორებიო. ეს უკანასკნელი აზრი, რაღაც არ ეთანხმება იმას, რასაც ხსენებული პირები ამბობდენ გლეხების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

ქართელ გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა.

გურულმა გლეხებმა იციან, თუ რას ნიშნავს დღეს «გაზაფხულის მოახლოვება», რომელზედაც ასე თამამათ ლაპარაკობენ და წერენ გაზეთებში. გურულმა გლეხებმა იციან, რომ ეს „გაზაფხულის მოახლოვება" ნიშნავს თღევანდელ დაპყრობებულ ცხოვრების განახლებას. ახალი წეს წყობილების შემოღებას. ისინი ღრმათ არიან დარწმუნებულნი დღევანდელი კანონმდებლობის უვარგისობაში. საუბედუროთ ამას სავსებით ვერ ვიტყვით ქართელ გლეხების მოძრაობაზე. ქართელ გლეხების მოთხოვნილებანი მათთვის კიდევ გამოურკვეველია. მათთვის ჯერ უცნობია სხვა სახის მართვა გამგეობა; მაგრამ ეს ცხოვრების უმადური ხალხი მზათ არის ერთი სიტყვით ააოხროს ქართლი, დაწვას და გადაჭეხოს ყოველი. ცხადია დღევანდელი ქართლის მოძრაობა სტიქიურია. უზომო გაჭირვებაში და სიღარიბით დატუქსულნი ცოცხალნი სიკვდილს ნატრობენ; ამისათვის საჭირო იყო, საიდანმე ტალღა გადმოგორებულიყო, მათ მტკივანა გულს მოხვედრიყო და გაჩაღებულიყო. ასეც მოხდა. გურიის ქარიშხალმა ქართლის შუა გულში მიაგორა ტალღა, ქართელ გლეხების გულში აანთო, ააღუზღუზა და უცბათ იფეთქა... ადგა ქარიშხალი, აღელდნენ ქარაფელი გლეხები. ღელვა დღითი დღე იზრდებოდა და წალეკას უპირებდა ყოველივეს, რაც კი შეხვდებოდა წინ. მაგრამ შემდეგ, გიე მაჟი ღელვა მონებიერდა, თან და თან სწორ გზას დაადგა. ასეთმა მძლავრმა ტალღამ თავ-ზარი დასცა ქართლში ყველას. თავად აზნაურთ შეეშინდათ. აღელვებულნი სოფელს გაშორდენ, სოფელს გარეთ, ქალაქში, მოყვენ წუწუნს... კრებების მართვას, მათ მიერ გამოწყებულ მოძრაობის დაცხრობისათვის მეცადინეობას

—

აქ, საჭიროთ მიგვაჩნია შევეხოთ ქართელ გლეხების ყოფა-ცხოვრებას და დღევანდელ მოძრაობის მიზეზებს.

ქართელ გლეხის ოჯახს შეადგენს ნახევრათ მიწაში ჩადგმული მინგრეულ-მონგრეული ულამაზოთ აგებული ბოსელი. როდესაც მასპინძელს მიყევხართ სახლში, გეგონებათ, პირუტყვების დასაბამ საბძელში მივყევარო. მართლაც ამ ღარიბ საბძელში თუ ბოსელში ოჯახის წევრები და საქონელი ერთათ ცხოვრობენ, ერთათ ძინავთ, ერთათ მუშაობენ მინდორ-ველშიაც. ლოგინი საერთო, ქვეშაგები უმეტესათ ჭილოფის ღეჭებისაგან, საბანი ზოგს აქვს, ზოგს სალდათის შინელი ხურავს, რომელსაც დღისით ტანისამოსათ ხმარობს. ტანისამოსი დაგლეჯილი, ეზოშიაც დიდი უსუფთაობაა. ბოსლის ერთი ფიცარი გამოჭრილია ოთხ-კუთხათ, რადგანაც საქონლის ნეხვს და ჭუჭყს ყრიან იქვე ბოსელს გვერდში. ნეხვს ესევა ღორები, ქათმები, აბნევს ეზოში და ამის გამო ჰაერში საშინელი სუნი დგას. ცხოვრობენ თითო ოჯახი ერთმანეთთან ძალიან ახლო, ისე, რომ გასავალი არ აქვთ. უზომო სიღარიბეს, საცხოვრებელ ბინის სივიწროეს, შეხუთულ ცხოვრებას, რასაკვირველია გლეხისათვის შესაფერი ელფერი გადაუკრავს პირისახეზე. ყველამ უწყის, რომ გლეხის ერთათ ერთ სარჩოს მძლეველი მიწაა. ქართლში ცხოვრობენ დროებით ვალდებულნი, ხიზნები, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და საუფლისწულო გლეხები, ესენი მუშაობენ სხვების მიწაზე და აძლევენ გადასახადს ჰირნახულით თუ ფულით.

ქართლში პურს თესენ ღვინობისთვეში, ცხრა თვე მიწაშია, მკათა-თვეში მკენ. თუ დიდი თოვლი დაადო, მოსავალი ფუჭდება. მარტში თესენ ქერს. მიწაში ხუთი თვეა და მოდის ზამთარში გამონარებ პურთან ერთათ. აპრილში, როცა მიწა გალხვება თესენ სიმინდს და ეკენისთვეში ტეხენ. ღალა, რომელსაც აძლევს გლეხი მემამულეებს და მღვდელს ქართლის სხვა და სხვა სოფლებში სხვა და სხვა რაოდენობისაა. მაგალითათ, სოფელი ლუბრუმა (გორის მაზრა) მიხაილოვიდან 5 ვერსზე. დღიურზე თითო კომლისგან.

1) 2 კოდი 1 ჩანახი- სხვა სოფელში 2 კოდი და 2 ჩანახი 2 მუშა:

2) საბალახო—სულ საქონელზე 30 კაპ.

3) შეშა ბატ. ტყიდან.—წელიწადში უღელი ხარი. 4 მ. რამდენიც უღლითაც შეხვალ იმდენი ოთხი მანეთი.

4) „საწყლის პირო"—უბაჟოთ გლეხები ვერაფერს გამოიტანენ. არ შეუძლიათ დაბანონ საქონელს ტანი (ხარ-კამბეჩი) ვერ წამოიღებს ქვას, ქვიშას, სილას, ვერ დაიჭერს თევზს, თუ წინ ბაჟი არ გადაიხადა, გლეხს წაართმევს ბადეს, საქონელს და სხვა.

5) ძირეული ხე 3 მანეთიდან—15 მანეთამდის.

6) ვენახიდან მოსავალის $^1/_3$.

7) ბაღის წვანილი ნახევარი ბატონისაა.

8) ბაღის ხილი—$^1/_3$ ბატონს (საუკეთესო).

9) სახელმწიფო „აცენკა" დღიურზე კომლისაგან 35 კაპეიკი.

10) სამაღაზიო ფული—60 კაპეიკი.

11) მამასახლისს კომლიდან—12 აბაზი.

გარდა ამისა, ჩვეულებაა ბატონყმური, შობას, აღდგომას, ყველიერში თითო კომლიდან თითო კაცი უნდა მივიდეს სახლში ბატონთან. უნდა მოუტანონ (თითო კომლს) ერთი ქათამი, ცხრა პური, 1 თუნგი ღვინო, 10 კვერცხი. თუ გლეხს, ოთხზე მეტი ცხვარი ან ღორი ყავს, გარდა ამისა, რომ საბალახოში მებატონეს სულზე 30 კაპ. აძლევს, უნდა მისცეს მებატონეს კიდევ წელიწადში 2 ცხვარი, ან 2 ღორი ეს აუცილებელია. თუ მოურავი ან ბატონი მოვიდა გლეხის ოჯახში, გლ[ე]ხმა ჩინებულათ უნდა აქეიფოს ორი დღე და მის ცხენსაც თივა აძლიოს; წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხს გაამათრახებს მოურავი. თუ ტყე, ძალიან დიდ მანძილზე დაშორებულია სოფელზე გლეხი იძულებულია სხვა მახლობელ ბატონის ტყეში შევიდეს, მაშინ უნდა გადაიხადოს შეშაში 20 მანეთი და რამდენ ურემს გამოიტანს, იმდენი ორი ურემი ბატონს უნდა მიუზიდოს—თავისი ხარჯით, მუშა—ხელით და ხარ-კამეჩებით.

როდესაც ბატონს მოესურვება და დაჭირდება სახლში გლეხი, გლეხს რაც უნდა საქმე ჰქონდეს ოჯახი უნდა მიატოვოს და რასაც უბრძანებენ აუსრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სალალო მიწას სხვა გლეხს გადაცემს და შეუძლია კიდევაც „აყაროს" გლეხი. წელს, სოფელ ლუბრუმაში გლეხებისათვის

გადაეხდევინებიათ კომლისგან 15 მანეთი. რასაკვირველია ეს ფულები უმრავლესს ვალათ აუღია და ვალში ჩავარდნილან. რის გადასახადია, ეს არ იციან, ზოგიერთ სოფლებში (ოსეთი) გლეხებს კიდევ მეტი გადასახადი აქვთ. გლეხებმა თავის დროზე უნდა გადაიხადონ ეს ხარჯი—ფულები, თორემ მათ დიდი გაჭირვება მოელის. მრავალი საგმირო საქმენი ჩაუდენიათ ამის გამო თავად-აზნაურებს: უმოწყალოთ აწვალებენ გლეხებს, როცა იმათ საქონელს იჭერენ, ზოგ შემთხვევაში საქონელს კლავდენ. ერთი მაგალითიც: სოფელ ახალ-უბანში მცხოვრები გლეხი სიმონა ნაზაძისათვის წაუსხამს ღორები სოფელ აბანოში მცხოვრებ თავადს, საქმის მდგომარება შემდეგია: „ჩაზამთრებაზე“ სოფლის მწყესს მიჰრეკია ღორები სიმონა ნაზაძისათვის. შეორე დღეს ე. ი. (14 გიორგობისთვეს) ღორები წაუსხამს ბატონს და მის მოჯამაგირეებს თავიანთ სახლში.

სიმონა ნაზაძეს უჩივლია თავადისათვის სურამის სასამართლოში და მიუსჯიათ თავადისათვის 20 თუმანი და 2 კვირე ნაობახი.

მაგრამ თავადს დაუჭერია ვიღაც ადვოკატი დიდებულიძე, და საქმე შეუჩერებია. ვინ იცის შეიძლება სურამის მოსამართლის განაჩენი გააუქმონ და ღორებიც თავადს აკუთნონ, ნაზაძეს აუხსნია მოწმეებით, რომ ღორები თავადს გაურეკავს გლეხის მამულიდან და არა თავადის. საქმე საყურადღებოა და საინტერესო.

მღვდელს რას აძლევენ თითო კომლიდან:

1) 2 კოდი ზოგან 2 კოდი და 2 ჩანახი ხორბალი.

2) პანაშვიდი—7 მანეთი.

3) მიცვალებულის წინ წაძღოლა 3 მან.—6 მანეთამდე.

4) წლის წირვა—10—14 მანეთამდის.

5) ჯვარის წერა 12—15 მანეთამდის.

6) ეკლესიის კარის გაღება 1 მანეთი.

7) ნათლია 50 კაპ.—1 მანეთამდის.

8) დიაკონს—25—30 კაპ.

9) ტაბლა „სიბანი“ 2 ბეჭი ერთი მოხარშული ერთი უმი (საკურთხის ნახევარი).

10) ერთი დოქი ღვინო.

11) საღვთოდან კიდევ დაკლული საქონლის ტყავი გინდა ფულათ 40 კაპ. თუ სახლში გესტუმრათ მღვდელი სხვა ხარჯებია.

აი, ამდენ ხარჯებს ეწევა ქართლელი გლეხი შინ, მღვდელთან და ბატონთან, და ვინ იტყვის, რომ ის გაჭირვებული და ღარიბი არ არისო?! მიხვდენ, თუ ვინ აყენებს იმათ ამოდენა გაჭირვებას. მას არ ძალუძს შეჩერება, შეჩერება მისთვის ისევ ტანჯვას, სიკვდილს ნიშნავს და მას კი-სიცოცხლე სწადიან. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ასე უცბათ იფეთქეს ქართლელმა გლეხებმა.

დასავლეთელი.

ს. ახალგორში და სხვა ახლო მახლო სოფლებში, გლეხებს თავიანთ ყრილობაში და მთავრობის წარმომადგენელთა წინაშე შემდეგი მოთხოვნები განუცხადებიათ:

1) ხიზნებს და დროებით ვალდებულ გლეხებს მიეცეს კერძო საკუთრებათ ყველა ის ალაგი, რომლითაც ისინი სარგებლობდენ და სარგებლობენ დღეს.

2) ყველა გლეხს დაუბრუნდეს კერძო საკუთრებათ ის მამული, რომელიც მას ჩამოაცალეს ბატონყმობის მოსპობის დროს.

3) გლეხთა საზოგადოებებს მიეცეთ უფასოთ საკმარისი სამოვარი და სანახირო მიწები.

4) სახაზინო, საეკლესიო და სამონასტრო გლეხებს მიეცეთ კერძო საკუთრებათ ის ადგილები, რომლებიც მათ ჭირავთ.

5) გლეხთა საზოგადოებებს დაუბრუნდეს ცალკე ფონდის დასაარსებლათ ის ფული, რომელიც მათგან წაიღეს ნადელის დასახსნელათ.

6) ზემო აღნიშნულ ფონდის დასამატებლათ დაუბრუნდეს გლეხებს სამალაზიო გადასახადი, რომელსაც ისინი იხდიან რამდენიმე წელიწადია კანონიერი სარგებლით.

7) ყველა წოდების მოიჯარადრე პირთათვის საიჯარო გადასახადი დადგეს მეათედი; მემამულე ვალდებული იყოს თავისი ხვედრი წაიღოს თითონვე.

8) მოისპოს ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლო, როგორც მაგალითათ: ძღვნის მიტანა, გუთნით, ურმით და მუშა ხელით მოხმარება.

9) მოისპოს მემამულეთა სასარგებლო გადასახადი თევზზე, ქვაბზე და ცეცხლზე.

10) ეკლესიის ყარაულობა დაევალოს თვით ეკლესიას თავისივე ხარჯით.

11) სამღვდელოების სასარგებლოთ გლეხებზე დაკისრებული სხვა და სხვა გვარი გადასახადის რაოდენობა იყოს აღნიშნული თვითონ გლეხების მიერო.

12) შარა გზების გაკეთება და არხების გაყვანა დაეკისროს ხაზინას და როცა ერობა იქნება შემოღებული—ერობას.

13) მოჯამაგირის მეგობარეობის გაუმჯობესობა: გაუქმდეს ყოველ გვარი ბატონ-ყმური დამოკიდებულება მოჯამაგირეს და მებატონეს შორის. მაგალითათ: არა ადამიანური მოპყრობა ხაზეინებისაგან, მცირე სამუშაო ჭირა და სხვა.

14) მებატონეს არ შეეძლოს უმიზეზოთ დათხოვნა მუშისა; მოვალე იყოს შეატყობინოს დათხოვნაზე ორი კვირით წინათ (აგრეთვე მოჯამაგირეც იყოს მოვალე შეატყობინოს მემამულეს თავის წასვლაზე ორი კვირით ადრე.

ყოველივე ეს რომ განხორციელდეს ამისთვის საჭიროა:

1) ხალხის მართვა-გამგეობა, ესე იგი სახელმწიფო კანონების შედგენის უფლება მიენიჭოს ხალხისაგან ამორჩეულ პირებს.

2) საჭიროა განურჩევლათ ქონებისა, წოდებისა, სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ყველამ მიიღოს მონაწილეობა წარმომადგენლების ამორჩევაში, ვინც კი სრულწლოვანია.

3) არჩევნები უნდა იყვეს სწორი, დახურული და პირდაპირ კენჭის ყრით.

4) შემოღებულ იქმნას ფართო ადგილობრივი თვით მართველობა.

5) შემოღებულ იქნას სრული თავისუფლება სიტყვისა, გეშდვი!ა, კრებისა, გაფიცვების და კავშირებისა.

6) მოისპოს წოდებრიობა, ნუ იქნება თავადი, აზნაური; იყვეს ყველა თავისუფალი მოქალაქე, იყვეს ყველა თანასწორი კანონის წინაშე.

7) მისვლა-მოსვლის თავისუფლება-პასპორტების მოსპობა.

8) მუდმივი ჯარის გაუქმება და ხალხის საყოველთაო შეიარაღება (მილიცია) საჭიროების დროს.

9) ეროვნებას უფლება მოხელეების პასუხის გებაში მიცემისა სასამართლოს წინაშე.

10) მოისპოს არა პირდაპირი გადასახადი, მაგალითათ ბაჟები სპირტზე, ნავთზე და სხვა საჭირო ნივთებზე.

11) მოისპოს აქციზი არაყზედ.

12) შემოღებული იქნეს უფასო სავალდებულო საზოგადო სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვთათვის თექვსმეტ წლამდე; მიეცეს ღარიბ ბავშვებს საზრდო, ტანისამოსი და სასწავლო ნივთები სახემწიფო ხარჯით.

13) განთავისუფლებულ იქმნენ თავისუფლებისთვის მებრძოლნი, რომელნიც უდანაშაულოთ დაპატიმრებულნი არიან.

მისაბაძი მაგალითი

ათიოდე წელიწადია, რაც ამიერ კავკასიის რკინის გზის მომხმარებელი საზოგადოება არსებობს, და თუ პირველ ორსამ წელწადს არ მივიღებთ მხედველობაში, როცა საზოგადოების საქმეები კარგათ მიდიოდა, დანარჩენი მისი არსებობა სულთმობრძავის არსებობა იყო.

რაც დრო მიდიოდა, საქმე სულ უკან-და უკან იხევდა, ზარალს ემატებოდა, წევრების რიცხვი კლებულობდა და დღითი დღე მათ შორის უკმაყოფილება და უნდობლობა საზოგადოებისადმი პროგრესიულათ იზრდებოდა. ამნაირათ საქმე საზოგადოებრივი, საქმე სიმპატიური კვდებოდა და ხსნა არსაით იყო. სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ საქმის გამოსაბრუნებლათ, ზოგიერთი ზომები კი იყო მიღებული როგორც მაგალითათ: სამას თუმნიანი მოურავის მოწვევა. გამგეობაში წევრებათ დიდ ბიბოლების არჩევა და სხვა ამგვარები, მაგრამ საქმეს არა ეშველარა; აშკარათ ჩანდა, თუ როგორ ილეოდა ის დღე დღეზე.

საყურადღებოა აქ ერთი გარემოება. მთელი ამ ათიოდე წლის განმავლობაში, პირველ ორი-სამი წლის გარდა, როცა საქმე ჯერ კარგათ მიდიოდა, რკინის გზის სახელოსნოს მუშები, რომელიც წევრთა დიდ უმრავლესობას შეადგენს, არ იღებდენ მონაწილეობას საქმის მართვა-გამგეობაში და ნელნელა სრულიად ჩამოშორდენ საქმეს და სულ არაფერს კითხულობდენ იმისას. საქმე იქამდი მივიდა, რომ სახელოსნოში გაგზავნილი საარჩევნო ფურცლები ან გაუხსნელი ბრუნდებოდა უკან ან არა და 600-700 წევრთაგან 6-7 კაცი დაახელებდა კანდიდატს გამგეობის წევრათ და ისიც ვინმე თავის უფროსთაგანს, ალბათ იმ აზრით, რომ უფროს გაიგებს და კარგ საქმეში ჩამეთვლებაო. ასეთ გულგრილობის შედეგმა მალე იჩინა თავი: საქმეს ბიუროკრატია დაეპატრონა, საზოგადო საქმის სათავეში კაკარდოსანნი ჩადგენ, და ხომ კარკათ მრგეხსენებათ იმათი გაკეთებული საქმე არ გამოდგებოდა. ამნაირათ ხალხმა თავის თავათ გამოირიცხა თავი საზოგადო საქმიდან და გახადა იგი მსხვერპლათ „ჩინოვნიკურ“ უსაქმობისა და ზნეობრივი გახრწნილებისა. მთელ რიგს გამგეობისას ამ 6-7 წლის განმავლობაში ჩქარის ნაბიჯით მიუყვდა საქმე ჯუფსკრულისაკენ, და უკანასკნელი ჯამაგირიანი *) გამგეობა უეჭველათ გადაჩეხდა კიდეც ამ საქმეს უფსკრულში, რომ ერთ გარემოებას არ ეჩინა თავი.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჯამაგირიანი გამგეობა მწვანე მაგიდას შემოსხდომოდა და ბეჭობდა, ანაზდეულათ თავს წამოადგა რვა მუშა.

მხოლოთ შეიარაღებული კი არა, მკითხველო, არა! მათ არც ბერდანკა ქონდათ და არც რევოლვერები, იქნებ კალმის დანაც არ ქონდათ ჯიბეში; მხოლოთ ერთი იარაღი ქონდათ მათ, იარაღი უსაშინელესი, იარაღი შეუდარებელი, ეს — შეგნება თავისი მოწიფულებისა, რწმენა თავისი ძალისა. „ხალხის საქმეს ხალხი უნდა მართავდეს; საზოგადო საქმე და ბიუროკრატია მოუთავსებელია ერთათ“!—თქვა ერთმა. „ჩვენ ხალხმა აგვირჩია მოვაწესრიგოთ თქვენგან არეულ-დარეული საქმე“!—განაცხადა მეორემ. „აგერ ერთი კვირაა, რაც სისტემატიურათ მაღაზიაში დავდივართ და თვალ-ყურს ვადევნებთ თქვენ „მოღვაწეობას“ და იმ დასკვნამდი მივედით, რომ თქვენ ყოვლათ უვარგისები ხართ“!—თქვა მესამემ. „მით უმეტეს უკანონოთ მიგვაჩნია თქვენთვის ჯამაგირების მოცემა“!—განაცხადა მეოთხემ. „ხალხის ბრძანებით გიცხადებთ თქვენ დღეიდან მოშორდეთ ამ საქმეს და ყოველივე ანგარიში დაუყონებლივ ჩაგვაბაროთ ჩვენ“;—დაასრულეს სიტყვა დანარჩენებმა,

ჯამაგირიან გამგეობას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ძნელია ნამდვილ ძალასთან ბრძოლა. ეს იგრძნო გამგეობამ და დაუყონებლივ მოშორდა საქმეს.

ამნაირათ ის, რაც ამ 6 – 7 წლის წინ უნდა მოეხდარიყო, მოხდა დღეს. ხალხმა თავის საუკეთესო წევრს ჩააბარა საზოგადო საქმე.

ხალხის შეუბღალავი და მოუსყიდელი ზნეობა, მისი ბუნებრივი ნიჭი და გამჭრიახობა, ბრძოლაში ნაცადი ძალა, გასალკლდებული ენერგია, თავდებია რომ საქმეს ფეხზე დააყენებენ. ეს მაგალითი მისაბაძავი მაგალითია.

ვ—ო.

(* წინეთ გამგეობის წევრები ჯამაგირს არ იღებდენ.

Открыта подписка на 1905 годъ

на ежемѣсячный журналъ искусства, литературы и общественной жизни

ПРАВДА

ИЗДАНІЯ ГОДЪ 2-й.

Съ первыхъ книгъ начнется печатаніе разсказовъ: *Леонида Андреева*—«Царь». *Ивана Бунина*—„Бѣлая смерть“. *Максима Горькаго*—„Жестокіе“. *Евгенія Чирикова*—„Марька изъ Ямъ“. *Семена Юшкевича*—„Усталость“ и др.

Вышла февральская книга.

СОДЕРЖАНІЕ: 1. *Ив. Бунинъ*.—Каинъ. Мистера Байрона. Переводъ съ англійскаго. 2. *Евг. Чириковъ*—Марька изъ Ямъ Повѣсть (продолженіе). 3. *А. Пигарева*.—Счастье. 4. *Танъ*.—Стихотвореніе. 5. *А. Насимовичъ*.—Поспѣловъ (наброскъ). 6. *Л. Василевскій*.—Могила Эсфири и Мардохея. (Стихи). 7. *Октавъ Мирбо*.—Въ убѣжищѣ Богородицы 36 Скорбей. (Изъ «Дневника Горничной»). Пер. съ французскаго С. Петрашъ. 8. *М. Конопницкая*.—Милосердіе общины. (Переводъ съ польскаго). 9. *А. Финнъ*.—Теорія средствъ существованія (окончаніе. 10. *А. Дивильковскій*.—Максимъ Горькій. (Критическій очеркъ). 11). *А. Чеботаревская*.—Великій переворотъ во французскомъ искусствѣ XIX вѣка. (Съ иллюстраціями). 12. *Библіографическія замѣтки: В. Щерба*.—Головачевъ. Россія на Дальнемъ Востокѣ.—*Ал. Шенскій*—Пѣвецъ гражданской скорби. (Избранныя стихотворенія Р. Патканьяна).—*Г. К*.—Бретъ Гартъ. Калифорнійскіе разсказы.—Списокъ книгъ, поступившихъ въ редакцію. 13. *А. Ковровъ*.—Нѣмецкая прислуга. (Оковчаніе). 14. *Мих. Ольминъ*.—По поводу президентскихъ выборовъ въ Сѣверо-Американскихъ Соединенныхъ штатахъ. (Окончаніе). 15. *А. Луначарскій*.—Осенній салонъ въ Парижѣ. 16. *Е. С.—Иностранное обозрѣніе*: Русскія событія и европейское общественное мнѣніе. Стачка 220,000 углекоповъ въ русскомъ бассейнѣ. 17. *В. С. Никольскій*.—Письмо въ редакцію. 18. *Б. У*.—По поводу женскихъ техническихъ курсовъ въ Москвѣ. (Письмо въ редакцію). 19. *Бродяга*.—Журнальная хроника. 20. *Другъ*.—Мелкая земская единица въ Самарскомъ Земствѣ. (Письмо изъ Самарской губерніи). 21. Отъ конторы журнала. 22. *Теодоръ Беверъ*.—Міровоззрѣніе одного современнаго естествоиспытателя. (Некритическій рефератъ сочиненія Э. Маха „Анализъ ощущеній“).—Пер. съ Нѣмецкаго Г. Котляра. 23. Объявленія.

ЦѢНА ФЕВРАЛЬСКОЙ КНИГИ 1 РУБЛЬ.

Январская книга вся израсходована: подписавшіеся послѣ 31 января получатъ изъ состава январьской книги тѣ статьи (ок. 100 страницъ), коихъ предложенія слѣдуютъ въ дальнѣйшихъ книгахъ, начиная съ февральской: взамѣнъ же остальной части январьской книги новымъ подписчикамъ предлагается получить или любую изъ послѣднихъ книгъ „правды“ за 1904 годъ, или скидку въ 50 коп. съ подписной цѣны, съ пересылкой того и другого за счечъ конторы журнала.

Желающимъ высылаются безплатно: Указатель статей 1904 года и подробныя объявленія.

Пробный номеръ за 1904 г. высылается за 30 коп. (деньгами или марками).

Условія подписки: Годъ—8 р. (безъ дост.—7 р. 50 к.), полгода—4 руб., 3 мѣс.—2 р. Годовымъ подписчикамъ—разсрочка.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ комплекты журнала за 1904 годъ продаются по 9 руб. (съ пересылкой).

Адресъ редакціи: Москва, Кудрино, 1, № 18; Конторы-Неглинная, ред.-изд. Вал. Козневниковъ.

რედ.-გამომც. ი. ვ. როსტომაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го марта 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.